



**ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტი**

თამარ თაბაგარი

**მცირე და საშუალო ბიზნესის დაბეგვრის სრულყოფის გზები
საქართველოში**

სამაგისტრო პროგრამა: ბიზნესის ადმინისტრირება

ნაშრომი შესრულებულია ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრის
აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

მეცნიერ-ხელმძღვანელი: ასოცირებული პროფესორი

მ. ჩიკვილაძე

თბილისი

2020

ანოტაცია

მსოფლიო ეკონომიკის განვითარებაში მნიშვნელოვანია მცირე და საშუალო საწარმოების როლი. სწორედ ეს სექტორი გვევლინება შემოსავლების ზრდის, უმუშევრობის შემცირებისა და მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდის ძირითად ელემენტად.

საქართველოში, ისევე როგორც მსოფლიოში, მცირე და საშუალო საწარმოები დიდ გავლენას ახდენენ ეკონომიკურ კეთილდღეობაზე. სწორედ ამიტომ სახელმწიფო ცდილობს ხელი შეუწყოს ამ სექტორის გაზრდასა და სწორ განვითარებას. აღნიშნულის მიღწევას კი პირველ რიგში დაბეგვრის პრინციპების სრულყოფის გზით ცდილობს.

საგადასახადო კოდექსი მცირე და მიკრო საწარმოებს განიხილავს, როგორც ბიზნეს სექტორის განვითარების მნიშვნელოვან და ყველაზე მცირე ელემენტად, ამიტომ დაბეგვრისას მათ ყოველთვის მეტი შეღავათი ეძლევათ, რათა გადასახადებს არ დაემძიმებინა მათი ეკონომიკური მდგომარეობა. უნდა გავითვალისწინოთ ის გარემოებაც, რომ მიკრო და მცირე საწარმოების დიდი ნაწილი თავს არიდებდა საგადასახადო კოდექსის შესაბამისად დაბეგვრას და გადასახადების გადახდას, ამიტომ სახელმწიფოს მხრიდან შეღავათების დაწესება და ადმინისტრირების გამარტივება შესაძლოა მივიჩნიოთ, როგორც ბიზნესის ლეგალიზაციისაკენ და ჩრდილოვანი ბიზნესის წილის შემცირებისაკენ გადადგმული მნიშვნელოვანი ნაბიჯი.

მნიშვნელოვანია რომ აღნიშნული სექტორის შეფერხება არ ხდებოდეს ისეთი მოვლენებით როგორცაა, სამეწარმეო განათლების ნაკლებობა, შეზღუდვები ფინანსებზე, ტექნოლოგიური ჩამორჩენა და მსოფლიო ბაზრებზე წვდომა. ჩამოთვლილი ფაქტორების სრულყოფა კი შესაძლებელია მხოლოდ საგადასახადო სისტემის გარდაქმნის გზით.

Annotation

Ways to improve small and medium business taxation system in Georgia

Tamar Tabagari

Today, small and medium enterprise play an important role in development of the world's economic. This sector is the key element of revenue growth, reducing unemployment and GDP growth.

In Georgia, as in the world, small and medium enterprises have a great impact on economic prosperity. That's why Georgia is trying to promote the growth and proper development of this sector. To achieve all of this, first of all country tries to improve the principles of taxation.

The legal and institutional framework for small and medium-sized businesses has changed significantly since 2016 year, the main determinant of it was the document: "Small and Medium Entrepreneurship Development Strategy of Georgia for 2016-2020 years" This strategy identified the priorities, which will bring significant success to Georgia, as a country with a developing economy.

The Tax Code treats small and micro enterprises as an important and smallest element of the business sector development. This is why in terms of taxation they have always had more privileges so that taxes do not complicate their economic situation. We should also take into account the fact that, a large number of micro and small enterprises avoided taxation and payment of taxes in accordance with the Tax Code, so the introduction of benefits and simplification of administration by the government must be considered as an important step towards legalizing business and reducing the share of "shadow business".

It is very important that this sector can't be stopped by situations such as: lack of entrepreneurial education, restrictions on finances, technological backwardness and access to world's markets. All this can be improved only by improving the tax system.

შინაარსი

ანოტაცია (ქართულ ენაზე)

ანოტაცია (ინგლისურ ენაზე)

შესავალი.....	5
თავი I. მცირე და საშუალო ბიზნესი საქართველოსა და მსოფლიოში	8
1.1 მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარება საქართველოში	8
1.2 მცირე და საშუალო ბიზნესის მხარდაჭერის მექანიზმები საზღვარგარეთის ქვეყნებში.....	20
1.3 მცირე და საშუალო ბიზნესის ძირითადი სტატისტიკური მონაცემების ანალიზი.....	28
თავი II. გადასახადების არსი და საგადასახადო კონტროლის თეორიული საფუძვლები	33
2.1 საგადასახადო კონტროლის ცნება და მისი განხორციელების პრინციპები.....	33
2.2 საგადასახადო ადმინისტრირება საქართველოში	38
2.3 მიკრო და მცირე ბიზნესის სტატუსის მქონე ფიზიკური პირების დაბეგვრა საქართველოში	48
დასკვნა	53
გამოყენებული ლიტერატურის სია	56
დანართი.....	59

შესავალი

თემის აქტუალობა. სახელმწიფოს არსებობა შეუძლებელია ფინანსური რესურსების გარეშე, რასაც ბიზნეს სექტორი აგენერირებს. გამომდინარე იქიდან რომ მსოფლიო ბიზნეს სექტორის დაახლოებით 95-97%-ს მცირე და საშუალო საწარმოები წარმოადგენენ, იგი მნიშვნელოვან როლს ასრულებს შემოსავლების ზრდაში, უმუშევრობის შემცირებისა და მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდაში, რაც მთავარია ეს სექტორი ქმნის პროდუქტს არა მხოლოდ საბოლოო მომხმარებლებისათვის, არამედ მსხვილი კომპანიებისთვის.

კვლევითი ნაშრომის მიზანი და ამოცანები. ნაშრომის მიზანია დაწვრილებით განიხილოს საქართველოში მცირე და საშუალო ბიზნესის დაბეგვრის გზები და მათი თავისებურებები. ასევე მნიშვნელოვანია წარსული გამოცდილების გადახედვა და წარსულში არსებული დაბეგვრის გზების გაანალიზება. მსოფლიო გამოცდილების გაზიარება და საგადასახადო კონტროლისათვის ისეთი რეკომენდაციების შემუშავება, რომელიც სრულყოფილს გახდის მცირე და საშუალო საწარმოების დაბეგვრას. შევეცდები გამოვავლინო დაბეგვრის დადებითი და უარყოფითი მხარეების, და ზოგადად შევაფასო მცირე და საშუალო სექტორის მდგომარეობა საქართველოში. ძირითადი მიზანი არის საგადასახადო კონტროლის სრულყოფის გზების ჩამოყალიბება.

კვლევის საგანი და ობიექტი. ნაშრომის კვლევის საგანსა და ობიექტს წარმოადგენს მცირე და საშუალო მეწარმეობა, უფრო კონკრეტულად კი მათი დაბეგვრის თავისებურებები, საგადასახადო ადმინისტრირება, განვითარების სტრატეგიები და მათი სრულყოფის გზები.

კვლევისათვის გამოყენებული მეთოდი/მეთოდები. თემის დამუშავების დროს მეხმარება თეორიული ცოდნა ფინანსების, აუდიტის, საგადასახადო და საფინანსო საქმის, ბუღალტერიისა და ეკონომიკის საფუძვლები.

აღნიშნულთან ერთად დავამუშავებ ინფორმაციას საკანონმდებლო ბაზიდან, სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებს, გავეცნობი მსოფლიო ქვეყნების გამოცდილებას.

მიზეზ-შედეგობრივი კავშირის დასადგენად გამოვიყენე ინდუქციისა და დედუქციის მეთოდები, ასევე შემეცნებითი აზროვნების უნარი. მონაცემების ერთმანეთთან შედარების გზით დავინახე აღნიშნული სექტორის ძირითადი მაჩვენებლები, პრობლემები, მიღწევები, რაც დამეხმარა დასკვნების ჩამოყალიბებაში.

კვლევის შედეგად მიღებული ძირითადი მიგნებები. ნაშრომში განხილულია ბოლო წლებში საქართველოს ხელისუფლების მიერ განხორციელებული ცვლილებები საგადასახადო სისტემაში და ადმინისტრირების კუთხით, ასევე მცირე და საშუალო საწარმოების განვითარების არსებული პოლიტიკა. მნიშვნელოვანია, რომ საგადასახადო ცვლილებები და პრინციპები წინააღმდეგობაში არ მოდიოდეს სექტორის განვითარების არჩეულ სტრატეგიებთან.

ნაშრომში საუბარია საგადასახადო ტვირთის შემცირებასა და საგადასახადო ადმინისტრირების გამარტივებაზე, საკანონმდებლო სიახლეების უკეთ წარმოჩენასა და მცირე და საშუალო მეწარმეებისათვის ფუნქციონირების შემსუბუქებასა და შეზღუდვების შემცირებაზე.

მსს სექტორის განვითარების ხელშეწყობის აუცილებლობა დასაბუთებულია სხვადასხვა ქვეყნების მაგალითზე დაყრდნობით და წარმოჩენილია მათი გამოცდილება აღნიშნული სექტორის ხელშეწყობის კუთხით.

ნაშრომში ასევე საუბარია გადასახადების განაკვეთების დიფერენცირებაზე, საგადასახადო ადმინისტრირების გამარტივებაზე, სხვა ქვეყნების გამოცდილების გაზიარებასა და მათი ფუნქციონირების სრულყოფაზე.

ნაშრომის მოცულობა და სტრუქტურა. სამაგისტრო ნაშრომი მოიცავს ანოტაციას, შესავალ ნაწილს, ძირითად ტექსტს რომელიც მოიცავს ორ თავს, ექვსს ქვეთავს და დასკვნით ნაწილს.

პირველ თავში განხილულია მცირე და საშუალო ბიზნესის თავისებურებები და განვითარების გზები საქართველოსა და მსოფლიოში. გაანალიზებულია სტატისტიკური

მონაცემები, რაც კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს საშუალო და მცირე ბიზნესის მნიშვნელობას ეკონომიკისათვის.

მეორე თავში კი განხილულია გადასახადების არსი და საგადასახადო კონტროლის თავისებურებები ზოგადად და კონკრეტულად, საქართველოს ჭრილში. განხილულია გადასახადების როლი ეკონომიკის განვითარებაში, ასევე მცირე და საშუალო საწარმოების მნიშვნელობა ეკონომიკისათვის. შესაბამისად ამ სექტორის დაბეგვრის თავისებურებები განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს საქართველოს ეკონომიკის ზრდის ტემპის უზრუნველყოფისათვის.

თავი I. მცირე და საშუალო ბიზნესი საქართველოსა და მსოფლიოში

1.1 მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარება საქართველოში

მცირე და საშუალო საწარმოები (მსს) მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ეკონომიკის განვითარებასა და ეკონომიკის განვითარების ზრდის ტემპების უზრუნველყოფაში. მათი განვითარება განსაკუთრებით უწყობს ხელს ისეთ ეკონომიკურ ფაქტორებს როგორცაა უმუშევრობის შემცირება და სამუშაო ადგილების შექმნა, შემოსავლების დაგენერირება და ბიზნეს სექტორის გაზრდა. მსს თავისი ბუნებით შეგვიძლია ნებისმიერი ქვეყნის განვითარების მნიშვნელოვან ელემენტად მივიჩნიოთ.

მცირე წარმოდგენა რომ შევიქნათ მათ მნიშვნელობაზე განვითარებული ქვეყნებისათვის სწორედ ეს სექტორი აგენერირებს ბიზნესს სექტორის მთლიანი ბრუნვის ნახევარზე მეტს და კერძო სექტორში ქმნის ორ სამუშაო ადგილს ყოველი სამიდან. ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD) წევრ ქვეყნებში, მცირე და საშუალო საწარმოები წარმოადგენენ კომპანიების 99%-ზე მეტს და საშუალოდ ქმნიან მთლიანი შიდა პროდუქტის 2/3 ნაწილს.

რაც შეეხება განვითარებადი და გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებს, მცირე და საშუალო საწარმოები, ბიზნეს სექტორის 90%-ზე მეტს წარმოადგენენ, თუმცა მათი წილი მთლიან შიდა პროდუქტში საკმაოდ დაბალია, უმეტესად ოც პროცენტზე ნაკლებია.

საქართველოში საბაზრო ეკონომიკისა და თავისუფალი მეწარმეობის განვითარებისათვის მნიშვნელოვანია მცირე და საშუალო ბიზნესის სექტორის განვითარება და ხელშეწყობა. ამ სექტორს უდიდესი როლი ენიჭება როგორც შემოსავლების გენერირებაში ასევე დასაქმების პრობლემების მოგვარებაში, დღესდღეობით კი ეს ორი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ქვეყნის ეკონომიკის განვითარებისათვის. სწორედ მცირე და საშუალო სექტორს აქვს იმის პოტენციალი, რომ დაასაქმოს მოსახლეობის ნახევარზე მეტი და შესაბამისად მოახდინოს მათი შემოსავლების გაზრდა, ამას ადასტურებს

განვითარებული ქვეყნების მაჩვენებლებიც, სადაც ამ სექტორში დასაქმებულთა რაოდენობა დაახლოებით მოსახლეობის 60-65 პროცენტია.

მნიშვნელოვანია ის ფაქტიც, რომ მცირე და საშუალო სექტორის განვითარება საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის როგორც შემოსავლებზე ასევე ხარჯებზე მოქმედებს დადებითად. ვგულისხმობ ფაქტს, რომ მცირე და საშუალო საწარმოების განვითარება უზრუნველყოფს საგადასახადო დაბეგვრის ბაზას, რაც სახელმწიფო ბიუჯეტში შემოსავლის სახით კლასიფიცირდება. რაც შეეხება ხარჯებს, სექტორი ხელს უწყობს დასაქმების ზრდას, შესაბამისად იზრდება მოსახლეობის/დასაქმებულთა შემოსავლები, რას ამცირებს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გაცემულ სოციალურ დახმარებებს.

მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარება უმჯობესია მოხდეს ორი მიმართულებით ერთდროულად, მიკროეკონომიკური ღონისძიებებითა და მაკროეკონომიკური სტაბილიზაციით, რათა მიღწეული იქნას მაქსიმალურად ეფექტიანი დონე. აღნიშნული ღონისძიებები უნდა განხორციელდეს ისე, რომ სახელმწიფოს საინვესტიციო პოლიტიკა წინააღმდეგობაში არ აღმოჩნდეს ანტი ინფლაციურ პოლიტიკასთან მიმართებაში.

ყურადღება უნდა მიექცეს საბანკო სისტემის მიერ საკრედიტო პროცენტის ოპტიმალურ დონეზე რეგულირებას. მაქსიმალურად ბევრი ღონისძიება უნდა შემუშავდეს მეურნეობის სრული დატვირთვით ამუშავებისათვის. მცირე და საშუალო ბიზნესი მუდმივად უნდა იყოს უზრუნველყოფილი შესაბამისი ინფრასტრუქტურითა და ჰქონდეს წვდომა ინოვაციებთან.

მაკროეკონომიკური და ფინანსური სტაბილიზაციის გაძლიერება უზრუნველყოფს მიმზიდველი საინვესტიციო გარემოს შექმნას. რაც უცხოელი ინვესტორების მოზიდვის საქმეში მნიშვნელოვანი წინ გადადგმული ნაბიჯი იქნება. ქვეყანაში წარმოების დონის გაზრდა მნიშვნელოვნად შეამცირებს იმპორტის რაოდენობას და გააუმჯობესებს ჩვენი ქვეყნის საგადასახადო ბალანსს.

ბოლო წლების განმავლობაში, საქართველომ ბევრი და მნიშვნელოვანი რეფორმა განახორციელა იმისათვის, რომ გაუმჯობესებულიყო საინვესტიციო გარემო,

შემცირებულიყო საგადასახადო ტვირთი და ადმინისტრაციული ბარიერები და მოგვარებულიყო ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრობლემა კორუფცია. რეფორმები საქართველომ წარმატებით განახორციელა და ეკონომიკის ზრდას მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი.

დღესდღეობით საქართველოს კარგი პოზიცია უკავია საერთაშორისო რეიტინგებში:

- 2020 წლის მსოფლიო ბანკის მიერ გამოქვეყნებულ ბიზნესის კეტების სიმარტივის ანგარიშში (Doing Business) საქართველო 83.7 ქულით მე-7 ადგილს იკავებს 180 ქვეყანას შორის.
- 2020 წლის ეკონომიკური თავისუფლების ინდექსის კვლევის მიხედვით საქართველო 77.1 ქულით მე-12 ადგილს იკავებს 162 ქვეყანას შორის. (Heritage Foundation).
- ბოლო (2019 წლის) მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის გლობალური კონკურენციის ინდექსის მიხედვით საქართველოს 74 ადგილი მიენიჭა 141 ქვეყანას შორის. (The Global Competitiveness Index).

მსს პოლიტიკის რეფორმების განხორციელებაში ძირითად როლს ასრულებს ორი სააგენტო-მეწარმეობის განვითარებისა და ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტო. ორივე მათგანი არის ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს დაქვემდებარებაში.

საქართველოში 2006 წლამდე არ არსებობდა რაიმე ნორმატიული აქტი, რომელიც განმარტავდა მცირე და საშუალო ბიზნესის არსს და განსაზღვრავდა რაიმე პოლიტიკასა და სტრატეგიას მათთვის. აღნიშნულ წელს ცვლილება შევიდა კანონში “ეროვნული საინვესტიციო სააგენტოს შესახებ, რომლის მიხედვითაც (მუხლი #3 - ტერმინთა განმარტებები) დადგინდა განმარტებები მცირე და საშუალო ზომის საწარმოებისათვის. კერძოდ:

„მ) მცირე საწარმო - „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად შექმნილი ყველა ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის საწარმო, რომელშიც დასაქმებულთა

საშუალო წლიური რაოდენობა არ აღემატება 20 დასაქმებულს და რომლის წლიური ბრუნვა – 500 000 ლარს; ნ) საშუალო საწარმო - „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად შექმნილი ყველა ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის საწარმო, რომელშიც დასაქმებულთა საშუალო წლიური რაოდენობა არ აღემატება 100 დასაქმებულს და რომლის წლიური ბრუნვა – 1 500 000 ლარს“.

უნდა ავლნიშნო, რომ განმარტებების არსებობას არ მოყოლია რაიმე მიზანმიმართული სახელმწიფო პოლიტიკა მცირე და საშუალო ზომის საწარმოების ხელშეწყობის მიზნით. ამასთან, აღნიშნულ კანონშიც ასეთი მცნებები მხოლოდ ტერმინთა განმარტებაშია ნახსენები რაც ტოვებს შთაბეჭდილებას, რომ ჩანაწერი მხოლოდ ფორმალურ ხასიათს ატარებდა. დღესდღეობით ეს კანონი გამოცხადებულია ძალადაკარგულად.

მსოფლიოში განსხვავებული მეთოდოლოგიით ხდება ბიზნესის ზომების განსაზღვრა, მაგრამ ძირითადად ყველა ეყრდნობა საწარმოს ბრუნვის მოცულობას და დასაქმებულთა რაოდენობას, რომლიც ხშირად სხვადასხვა ეკონომიკური საქმიანობის სექტორების მიხედვით.

მოგვიანებით, 2007 წელს საქართველომ დასაქმების პრობლემის მოგვარების ერთ-ერთ ყველაზე ეფექტურ გზად მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარება მიიჩნია, ამიტომ შეიმუშავა სახელმწიფო პროგრამა: „დასაქმების პროგრამა 2007: დასაქმება მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებით“. აღნიშნული პროგრამა განკუთვნილი იყო ტურიზმის სექტორისათვის ბენეფიციარებს ძირითადად წარმოადგენდნენ აღნიშნულ სექტორში მომუშავე მცირე და საშუალო საწარმოები და ბიზნესის წამოწყების მსურველები. პროგრამა ხელს უწყობდა ბენეფიციარებს, ქმნიდა სამუშაო ადგილებს, უზრუნველყოფდა ინფრასტრუქტურის ხელმისაწვდომობას და რაც მთავარია ფინანსური რესურსების ხელმისაწვდომობას.

მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების კუთხით საქართველომ გაცილებით აქტიური და პრაქტიკული კურსი 2012 წლიდან აირჩია. განხორციელდა არსებითი ცვლილებები ბიზნესის რეგისტრაციის, ელექტრონული სისტემების განვითარების

კუთხით. ასევე შეიქმნა მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების პოლიტიკის განმახორციელებელი სახელმწიფო უწყება, რომელიც ხელს უწყობდა ინოვაციებისა და ტექნოლოგიების ათვისებას. საქართველომ მიზნად დაისახა ამ სექტორის კონკურენტუნარიანობის ზრდა კაპიტალის ბაზრის განვითარებით, პირდაპირი უცხოური ინვესტიციების გაზრდის, სამეწარმეო უნარების განვითარების გზით, მათ შორის ყურადღება გამახვილდა ქალთა მეწარმეობის განვითარებაზე.

მსს სექტორის სამართლებრივი და ინსტიტუციონალური ჩარჩო მნიშვნელოვნად შეიცვალა 2016 წელს, რისი ძირითადი განმაპირობებელი ფაქტორიც იყო „საქართველოს მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების სტრატეგია 2016-2020 წლებისთვის“. დოკუმენტში განხილულია მეწარმეობის განვითარებისათვის განსახორციელებელი 33 პრიორიტეტული აქტივობა. მათ შორისაა სამართლებრივი გარემოსა და ზოგადად საკანონმდებლო ბაზის ცვლილება, ფინანსებზე წვდომის შესაძლებლობების გაზრდა, სამეწარმეო ცოდნის გაზრდა, სხვადასხვა ინოვაციური იდეებისა და საქმიანობების მხარდაჭერა.

მცირე და საშუალო ბიზნესის სექტორის SWAT ანალიზი

მცირე და საშუალო ბიზნესის სექტორის ძლიერი მხარეები:

- მეტნაკლებად სტაბილური მაკროეკონომიკური გარემო, ზრდის საშუალო და მაღალი ტემპები;
- სექტორს წამყვანი ადგილი უჭირავს ბიზნესგარემოს ფორმირებაში;
- საგადასახადო შეღავათები;
- გამართული ელექტრონული მმართველობითი სერვისები, როგორცაა ონლაინ დეკლარირება და გადახდა, ელექტრონული შესყიდვები, ელექტრონული ხელმოწერა;
- კორუფციის წინააღმდეგ წარმატებული და მნიშვნელოვანი წინსვლა;
- სახელმწიფო ფოკუსირდება აღნიშნული სექტორის წინსვლაზე. ამაზე მეტყველებს სხვადასხვა ორგანოების შექმნა მაგალითად მეწარმეობის განვითარების სააგენტოსა

და ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოს შექმნა. დამწყებ საწარმოთა ხელშეწყობის პროგრამა „აწარმოე საქართველოში“;

- სამეწარმეო განათლების ბაზის ფორმირება და განვითარების ხელშეწყობა.

მცირე და საშუალო ბიზნესის სექტორის სუსტი მხარეები:

- ფინანსური ბაზრის კაპიტალიზების პრობლემები, სექტორი ხასიათდება საბანკო დაფინანსებაზე შეზღუდული წვდომით;
- მსს სექტორი არ არის წარმოდგენილი როგორც სტრუქტურირებული, ერთიანი მექანიზმი.
- მცირე და საშუალო საწარმოების განსაზღვრება დასახვეწია, რათა შესაბამისობაში მოვიდეს ერთმანეთთან და ევროკავშირის განსაზღვრებასთან;
- არასრულყოფილი სტატისტიკური მონაცემები ართულებს სექტორის კვლევას;
- დასაქმების კლება მცირე და საშუალო საწარმოებში, ეს პრობლემა განსაკუთრებით გაძლიერდა კორონა ვირუსის პანდემიის ფონზე;
- ექსპორტის დაბალი მაჩვენებელი.

მცირე და საშუალო ბიზნესის სექტორის შესაძლებლობები:

- მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების გეგმის შედგენა და შესაბამისი სტრატეგიების დასახვა სუსტი მხარეების დაძლევის და ხარვეზების გამოსწორების შესაძლებლობას წარმოადგენს;
- პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ზრდის ტემპი მსს სექტორის განვითარებას მნიშვნელოვნად აჩქარებს;
- ევროკავშირის ასოცირების ხელშეკრულება თავისუფალი სავაჭრო ზონის შესახებ (DCFTA) შესანიშნავი შესაძლებლობაა ექსპორტისა და ეკონომიკის ზრდისთვის;
- აგრობიზნესისა და ტურიზმის სექტორის განვითარება ასევე ერთ-ერთი რეალური და მნიშვნელოვანი შესაძლებლობაა მცირე და საშუალო ბიზნესისათვის;
- საქართველოს გეოგრაფიული მდებარეობა, რომელსაც სატრანსპორტო ცენტრად ქცევის პოტენციალი აქვს.

მცირე და საშუალო ბიზნესის სექტორის საფრთხეები:

- რეგიონის ბიზნეს გარემოს არასტაბილურობა;
- მცირე და საშუალო საწარმოებს მნიშვნელოვანი საფრთხე შეუქმნა მსოფლიო პანდემიამ და გლობალური ეკონომიკა ჯერ კიდევ დიდი საფრთხის წინაშე დგას;
- კოორდინაციის ნაკლებობა ამცირებს განვითარების შესაძლებლობას;
- DCFTA არსებობა მნიშვნელოვანი შესაძლებლობაა, თუმცა იგი შეიძლება განვიხილოთ როგორც საფრთხე, რადგან სპეციფიურ ცოდნასა და რეგულაციების კონტროლს გულისხმობს.

მსოფლიოში და მათ შორის საქართველოშიც არ არსებობს მცირე და საშუალო საწარმოების ერთიანი, საერთაშორისოდ მიღებული განმარტება. იგი ძირითადად განისაზღვრება საწარმოთა ბრუნვის მოცულობისა და დასაქმებულთა რაოდენობის მიხედვით. როგორც აღვნიშნე განმარტება რომელიც მოცემული იყო საქართველოს ეროვნული საინვესტიციო სააგენტოს მიერ აღარ მოქმედებს, ამჟამად მცირე და საშუალო საწარმოების ორი განსაზღვრება არსებობს, ერთით მოცემულია საგადასახადო კოდექსში, ხოლო საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური ხელმძღვანელობს მეორე, საკუთარი მეთოდოლოგიით.

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური საწარმოთა ზომას 2017 წლამდე განსაზღვრავდა შემდეგი მეთოდოლოგიით:

- “მსხვილია საწარმო, რომელშიც დასაქმებულთა საშუალო წლიური რაოდენობა აღემატება 100 კაცს ან საშუალო წლიური ბრუნვის მოცულობა 1.5 მლნ ლარს”.
- “საშუალო ზომისაა საწარმო, რომელშიც დასაქმებულთა საშუალო წლიური რაოდენობა მერყეობს 20-დან 100 კაცამდე, ხოლო საშუალო წლიური ბრუნვის მოცულობა – 0.5 მლნ ლარიდან 1.5 მლნ ლარამდე”.
- “მცირე ზომისაა საწარმო, რომელშიც დასაქმებულთა საშუალო წლიური რაოდენობა არ აღემატება 20 დასაქმებულს და საშუალო წლიური ბრუნვის მოცულობა არ აღემატება 0.5 მლნ ლარს”.

2017 წლამდე		
საწარმოს ტიპი	დასაქმებულთა რაოდენობა	ბრუნვის მოცულობა
მცირე	არ აღემატება 20-ს	არ აღემატება 0.5 მლნ ლარს
საშუალო	20-დან 100 კაცამდე	0.5 მლნ ლარიდან 1.5 მლნ ლარამდე.
მსხვილი	აღემატება 100 კაცს	აღემატება 1.5 მლნ ლარს

ცხრილი 1.1 წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

2017 წლიდან კი საწარმოთა ზომის განსაზღვრა შემდეგი მეთოდოლოგიით ხდება. მსგავსი განმარტება შესწორდა ევროკავშირის სტანდარტების შესაბამისად, რადგან საერთაშორისო ანალოგიურ მაჩვენებლებთან შედარება უფრო მარტივი ყოფილიყო. ახალი განმარტება ზრდის დაწესებულ ზღვრებს როგორც დასაქმებულთა რაოდენობის, ასევე საწარმოების მთლიანი ბრუნვის მიხედვით, კერძოდ ახალი დეფინიციით:

- “მსხვილია საწარმო, რომელშიც დასაქმებულთა საშუალო წლიური რაოდენობა აღემატება 249 კაცს ან საშუალო წლიური ბრუნვის მოცულობა 60 მლნ ლარს.”
- “საშუალო ზომისაა საწარმო, რომელშიც დასაქმებულთა საშუალო წლიური რაოდენობა მერყეობს 50-დან 250 კაცამდე, ხოლო საშუალო წლიური ბრუნვის მოცულობა – 12 მლნ ლარიდან 60 მლნ ლარამდე.”
- “მცირე ზომისაა საწარმო, რომელშიც დასაქმებულთა საშუალო წლიური რაოდენობა არ აღემატება 50 დასაქმებულს და საშუალო წლიური ბრუნვის მოცულობა არ აღემატება 12 მლნ ლარს.”

2017 წლის შემდეგ		
საწარმოს ტიპი	დასაქმებულთა რაოდენობა	ბრუნვის მოცულობა
მცირე	არ აღემატება 50 დასაქმებულს	არ აღემატება 12 მლნ ლარს
საშუალო	50-დან 250 კაცამდე	12 მლნ ლარიდან 60 მლნ ლარამდე
მსხვილი	აღემატება 249 კაცს	აღემატება 60 მლნ ლარს

ცხრილი 1.2 წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

ახალი განმარტება საქართველოს მთავრობას ეხმარება რომ მიიღოს მეტად რეალური ინფორმაცია ეკონომიკაში კომპანიების (ზომის მიხედვით) რაოდენობის შესახებ. ახალი განმარტებები საშუალებას იძლევა, რომ ჩვენი ქვეყნის მაჩვენებლები შევადაროთ სხვა ქვეყნების მაჩვენებლებს. ახალი მეთოდოლოგიის მიხედვით, 2017 წელს საქართველოში კომპანიების 99.7% იყო მცირე და საშუალო. 2018 წელს კი მათ შეადგინეს ბიზნეს სექტორში დასაქმების 64% და შექმნეს დამატებული ღირებულების 61%.

სტატისტიკის ეროვნული სამსახური განმარტებებს იყენებს მონაცემების დამუშავებისა და მაჩვენებლების განსაზღვრისათვის.

როგორც აღვნიშნე, საქართველოს საგადასახადო კოდექსი (სსკ), რომელიც ძალაშია 2011 წლიდან, ასევე იძლევა გარკვეული სახის განმარტებებს მცირე ბიზნესის კუთხით და ასევე განმარტავს მიკრო ბიზნესს. აღნიშნული განმარტებები მოქმედებს მხოლოდ საგადასახადო მიზნებით და შემოღებული იქნა მცირე და მიკრო ბიზნესისათვის სპეციალური დაბეგვრის რეჟიმისა და საგადასახადო ადმინისტრირებისათვის.

საქართველოს საგადასახადო კოდექსის მერვე მუხლის, ტერმინთა განმარტების მიხედვით:

- “მცირე ბიზნესის სტატუსი შეიძლება მიენიჭოს მეწარმე ფიზიკურ პირს, რომლის ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებული ერთობლივი ჯამური შემოსავალი ერთი წლის განმავლობაში არ აღემატება 500 000 ლარს;”

- “მიკრო ბიზნესის სტატუსი შეიძლება მიენიჭოს ფიზიკურ პირს, რომელიც არ იყენებს დაქირავებულ პირთა შრომას და დამოუკიდებლად ეწევა ეკონომიკურ საქმიანობას, რომლიდანაც მის მიერ მისაღები ჯამური ერთობლივი შემოსავალი კალენდარული წლის განმავლობაში არ აღემატება 30 000 ლარს.”

საქართველოს შემოსავლების სამსახურის სტატისტიკურის მაჩვენებლების მიხედვით, საგადასახადო კანონმდებლობის შეცვლის შემდეგ დარეგისტრირდა 83,231 მცირე და მიკრო საწარმო, მათგან 43,761 არის მცირე საწარმო 39,470 კი მიკრო საწარმო.

განსხვავება საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურისა და საქართველოს საგადასახადო კოდექსის განმარტებებს შორის არის არსებითი, რომელიც წარმოდგენილია ქვემოთ მოცემულ ცხრილებში.

განსხვავება საწარმოთა ბრუნვის მოცულობის მიხედვით

საწარმოს ტიპი	სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიხედვით	საქართველოს საგადასახადო კოდექსის მიხედვით
საშუალო	12 მლნ ლარიდან 60 მლნ ლარამდე	განმარტებული არ არის
მცირე	არ აღემატება 12 მლნ ლარს	არ აღემატება 0.5 მლნ ლარს
მიკრო	განმარტებული არ არის	არ აღემატება 30 ათასი ლარს

ცხრილი 1.3

*ცხრილი შედგენილია საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურისა და სსკ-ის მონაცემების მიხედვით.

განსხვავება საწარმოში დასაქმებულთა რაოდენობის მიხედვით

საწარმოს ტიპი	სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიხედვით	საქართველოს საგადასახადო კოდექსის მიხედვით
საშუალო	50-დან 250 კაცამდე	განმარტებული არ არის
მცირე	არ აღემატება 50 დასაქმებულს	განმარტებული არ არის
მიკრო	განმარტებული არ არის	1

ცხრილი 1.4

*ცხრილი შედგენილია საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურისა და სსკ-ის მონაცემების მიხედვით.

როდესაც საწარმოების კატეგორიებად დაყოფაზე ვსაუბრობთ აუცილებლად უნდა განვიხილოთ საქართველოს ბუღალტრული აღრიცხვის ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის (SARAS) კლასიფიკაცია. აღნიშნული კლასიფიკაცია ეყრდნობა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტს (IFRS). მისი გამოყენება საქართველოში სავალდებულოა 2016 წლიდან. SARAS კომპანიების დაყოფას ახორციელებს ოთხ ნაწილად: პირველი, მეორე, მესამე და მეოთხე კატეგორიის საწარმოებად. სადაც მეორე და მესამე კატეგორიის საწარმოებისთვის განსაზღვრული კრიტერიუმები უტოლდება შესაბამისად საშუალო და მცირე საწარმოებს და მათთვის ადგენს ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებს მცირე და საშუალო საწარმოებისათვის (IFRS for SMEs). ოთხივე ტიპის საწარმოს განსაზღვრება მოცემულია 1.5 ცხრილში.

საწარმოს ტიპი	აქტივების ჯამური ღირებულება	შემოსავალი	დასაქმებულთა საშუალო რაოდენობა
IV კატეგორია (ე.წ. მიკრო)	1 მილიონ ლარს არ აღემატება	2 მილიონ ლარს არ აღემატება	10-ს არ აღემატება
III კატეგორია (ე.წ. მცირე)	10 მილიონ ლარს არ აღემატება	20 მილიონ ლარს არ აღემატება	50-ს არ აღემატება
II კატეგორია (ე.წ. საშუალო)	50 მილიონ ლარს არ აღემატება	100 მილიონ ლარს არ აღემატება	250-ს არ აღემატება
I კატეგორია (ე.წ. მსხვილი)	50 მილიონს ლარს აღემატება	100 მილიონ ლარს აღემატება	250-ს აღემატება

ცხრილი 1.5

*ცხრილი შედგენილია www.saras.gov.ge მონაცემების მიხედვით.

იმისათვის რომ კომპანია მივაკუთვნოთ რომელიმე კატეგორიას, იგი უნდა აკმაყოფილებდეს მოცემული სამი კრიტერიუმიდან ორს მაინც.

III და IV კატეგორიის საწარმოებს მოეთხოვებათ IFRS for SMEs, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ ისინი შედიან მცირე და საშუალო საწარმოების კატეგორიაში.

SARAS-ის კლასიფიკაცია განისაზღვრება დასაქმებულთა რაოდენობის, აქტივებისა და შემოსავლების მიხედვით. იგი არ ემთხვევა და წინააღმდეგობაშიც კი მოდის საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურისა და საგადასახადო კოდექსის განმარტებებთან. თუმცა მოცემული განმარტებები როგორც ვისაუბრე სხვადასხვა მიზანს ემსახურება. მათი საჭიროება აშკარაა, რადგან გადასახადები ყველაზე მნიშვნელოვან როლს ასრულებენ საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის ფორმირებაში, თავის მხრივ გადასახადების ადმინისტრირება კი ხორციელდება ბუღალტრული აღრიცხვით. გადასახადების დაბეგვრა ხდება საგადასახადო კანონმდებლობით, ბუღალტრული აღრიცხვა კი უნდა

შეესაბამებოდეს საერთაშორისო სტანდარტს (ბასს და სსკ), რომელთა შორისაც არსებობს მნიშვნელოვანი განსხვავება, რის გამოც გაჩნდა ტერმინი საგადასახადო აღრიცხვა.

1.2 მცირე და საშუალო ბიზნესის მხარდაჭერის მექანიზმები საზღვარგარეთის ქვეყნებში

ეკონომიკისათვის მცირე ბიზნესი ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან აგრეგატს წარმოადგენს, რადგან იგი მთელი ეკონომიკური სისტემის ჩამოყალიბების, განვითარებისა და სტაბილურად ფუნქციონირების მნიშვნელოვანი და ერთ-ერთი საფუძველია.

მსოფლიო ბანკმა (IBRD) გამოაქვეყნა საინტერესო მაჩვენებლები მცირე მეწარმეობის სუბიექტებთან მიმართებაში, კვლევის შედეგად გამოვლინდა რომ:

- ახლად შექმნილი მცირე სუბიექტებიდან ერთი წლის შემდეგ სიცოცხლისუნარიანობას მხოლოდ მათი 50% ინარჩუნებს, სამი წლის შემდეგ 7-8%, ხუთი წლის შემდეგ კი მაქსიმუმ 3%;
- ამასთან აშშ-ში ყოველ წელს იქმნება 600 ათასი ახალი, მცირე საწარმო, 400 ათასი კი წყვეტს ფუნქციონირებას;
- დიდ ბრიტანეთში, საწარმოს რეგისტრაციიდან 6 წელში სიცოცხლისუნარიანია მხოლოდ 35%;
- გერმანიაში ყოველ წელს იქმნება 40 ათასი ახალი, მცირე საწარმო, 20-25 ათასი კი წყვეტს საქმიანობას.

საზღვარგარეთის ქვეყნებში, მცირე და საშუალო ბიზნესის სექტორის განვითარება უფრო სწრაფი ტემპებით მიმდინარეობს, ვიდრე საქართველოში, რადგან იქ უფრო მეტადაა გაცნობიერებული ამ სექტორის მნიშვნელობა ეკონომიკისათვის. განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ამ სექტორს დასაქმების ხელშეწყობის კუთხით, მაგალითად აშშ-ში ამ სექტორში დასაქმებულია შრომისუნარიანი მოსახლეობის 53%, იაპონიაში დაახლოებით 72%, ევროკავშირის ქვეყნებში დასაქმებულთა 50% მცირე ან საშუალო საწარმოში მუშაობს,

მეტიც, საშუალო საწარმოები ყველა საწარმოს 1%-ს შეადგენს მაგრამ საერთო დასაქმებს 17%-ს უზრუნველყოფს და საერთო ბრუნვის 20%-ს აგენერირებს.

მცირე და საშუალო ბიზნესი ევროპაში. ევროკავშირის ქვეყნებში მსბ-ის განვითარების მრავალწლიანმა გამოცდილებამ ხაზი გაუსვა ამ სუბიექტების უზარმაზარ როლს ქვეყნის ეკონომიკაში. იგი ახდენს კონკურენციის სტიმულირებას, რაც მსხვილ კომპანიებს უბიძგებს დანერგონ ახალი ტექნოლოგიები და გააუმჯობესონ წარმოების ეფექტურობა რაც თავის მხრივ აუმჯობესებს მთელი ევროკავშირის ეკონომიკის ეფექტურობას. შესაბამისად მსბ-ს მხარდაჭერის პოლიტიკის მთავარი მიზანი მდგომარეობს სახელმწიფოსა და ბიზნესს შორის ინტერესთა დაბალანსებაში, სამეწარმეო საქმიანობისთვის ოპტიმალური პირობების უზრუნველყოფაში და ასევე მსბ სუბიექტების კონკურენტუნარიანობის გაზრდაში.

ევროკავშირის ქვეყნებში მიკრო, მცირე და საშუალო ზომის საწარმოებად მოიაზრება ისეთი საწარმოები, სადაც დასაქმებულია 250 ადამიანზე ნაკლები და რომლის წლიური ბრუნვა არ აღემატება 50 მილიონ ევროს და მათი ნაღდი ფულის მოძრაობის უწყისი არ არის 43 მილიონ ევროზე მეტი.

“ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების საერთაშორისო ორგანიზაცია” (OECD), რომლის წევრებიც არიან განვითარებული ქვეყნები, 19 კაცამდე დასაქმებულ საწარმოს განსაზღვრავს როგორც ”საკმაოდ მცირეს”, 99 კაცამდე დასაქმებულს – როგორც “მცირეს”, ხოლო 100-დან 499 - კაცამდე, როგორც “მსხვილს”.

მსბ-ის რეგულირების და მხარდაჭერის სისტემის ჩამოყალიბება ევროპაში გასული საუკუნის 70-იანი წლებიდან დაიწყო და ახლაც გრძელდება - სხვადასხვა გზით. 2019 წლის მდგომარეობით ევროკავშირის პოლიტიკის მიმართულებები მსს-ის განვითარებისთვის შემდეგში მდგომარეობს: პირველ რიგში მსს-ის ფინანსური მხარდაჭერა, ნორმატიული ბაზის და ადმინისტრაციული პროცედურების გამარტივება, მათი ინტერესების დაცვა, მსს-ის დახმარება კადრების მომზადებაში და კვლევებში.

ევროკავშირში მსბ-ის მხარდაჭერის საკმაოდ მოქნილი ინფრასტრუქტურა ჩამოყალიბდა. მაგალითად მსბ-ის განვითარების პოლიტიკა ევროკავშირის წევრ ყოველ

ქვეყანაში მუშავდება ეკონომიკის მრეწველობისა და ვაჭრობის სამინისტროების მიერ, აქვე ჩართულია ასევე დასაქმების სამინისტრო. სახელმწიფო დაწესებულებები, კერძოდ სავაჭრო-სამრეწველო პალატები ახდენენ მსს-ის კადრების სწავლებას და კვალიფიკაციის ამაღლებას, ტექნოლოგიური კონსულტაციების გაწევას, საერთაშორისო ვაჭრობის და თანამშრომლობის სტიმულირებას, ხარისხის სერტიფიკატების გაცემას, აწვდიან საქმიან ინფორმაციას მსს-ის წარმომადგენლებს. კერძო ფინანსური დაწესებულებები - კომერციული ბანკები, ვენჩერული კომპანიები ახდენენ მსბ-ის საკრედიტო მხარდაჭერას; ხოლო კერძო სამეცნიერო და საკონსალტინგო სტრუქტურები უწევენ კონსულტაციებს მენეჯმენტის, მარკეტინგის, საინფორმაციო ტექნოლოგიების დანერგვის და განვითარების საკითხებში.

ბოლო რამდენიმე წელში, ევროპაში ფართოდ გავრცელდა მსბ-ის მხარდაჭერის ინტერაქტიული ინსტრუმენტები, მაგალითად ისეთები, როგორცაა საინფორმაციო პორტალი, ვიდეო კონფერენცია და სხვა. მაგალითისთვის შეგვიძლია განვიხილოთ მცირე და საშუალო ბიზნესის კონტინენტური ქსელი (European Enterprise Network) – ეს არის მცირე და საშუალო ბიზნესის მხარდაჭერის უფასო საინფორმაციო რესურსი, მასში გაერთიანებულია 600-ზე მეტი სააგენტო და ორგანიზაცია რომლებიც ასრულებენ შუამავლის როლს ევროკავშირსა და მსს-ს შორის. მსს-ს ნებისმიერ წარმომადგენელს შედარებით სწრაფად და მარტივად შეუძლია მოიძიოს ინფორმაცია კომპანიის განვითარების შესაძლებლობებზე, სიახლეებსა და ტექნოლოგიებზე, თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლებაზე, შეაფასოს რამდენად სარისკოა ევროკავშირის სხვა ქვეყანაში საქმიანობა და რაც მთავარია დაამყაროს პირდაპირ კონტაქტი და მიიღოს სრული ინფორმაცია ევროპული ფონდების შესახებ, რომელიც შეძლებს მოცემული კომპანიის განვითარების ან კონკრეტული პროექტის დაფინანსებას.

ამრიგად მსბ-ის მხარდაჭერის და რეგულირების ძირითადი მიზანი ევროპაში არის ევროკავშირის შიდა ბაზრის გაძლიერება, მცირე და საშუალო საწარმოებისთვის ადმინისტრაციული ბარიერების ჩამოშორება და საკანონმდებლო ბაზის უნიფიცირება.

მცირე და საშუალო ბიზნესი აშშ-ში. 2019 წლის მდგომარებით აშშ-ში დარეგისტრირებულია 20 მილიონზე მეტი მცირე და საშუალო საწარმო, რომლებიც სამუშაო ადგილებით ქვეყნის მთლიანი შრომისუნარიანი მოსახლეობის ნახევარზე მეტს უზრუნველყოფს (როგორ ზემოთ აღვნიშნე). ამერიკელ მეცნიერთა მონაცემებით ყოველი მესამე ამერიკელი ოჯახი ჩართულია ბიზნესში. ზოგიერთი ამერიკული სამეწარმეო სახელმძღვანელო ამტკიცებს, რომ აშშ-ს მცირე საწარმოთა 20% იწყებს საქმიანობას 1,000-5,000 აშშ დოლარის დაბანდებით და 2-3 წელიწადში თავის ყოველწლიურ შემოსავალს ზრდიან 1 მლნ აშშ დოლარამდე.

მსს აშშ-ში გამოიყურება შედარებით მსხვილად. მათი კანონმდებლობით მცირე და საშუალო ბიზნესს მიეკუთვნება ეკონომიკური მეწარმე სუბიექტები რომელთა პერსონალი არ აღემატება 500 ადამიანს, ამასთან მსს შეიძლება ერქვას გარკვეულ სფეროებში მომუშავე კომპანიას რომელშიც დასაქმებულია 1-დან 1500 კაცამდე და რომლის წლიური ბრუნვა არ აღემატება 15 მლნ აშშ დოლარს. ამიტომ მონაცემების შედარება და რაიმე კონკრეტული დასკვნის გამოტანა საკმაოდ რთულია.

მსბ-ის მხარდაჭერის პრინციპების ფორმირება აშშ-ში მოხდა გასული საუკუნის 50-იანი წლების შუა პერიოდში, მას შემდეგ, რაც 1953 წელს შეიქმნა უწყება - მცირე ბიზნესის საქმეთა ადმინისტრაცია (SBA). ეს ორგანიზაცია იცავს მსბ-ის ინტერესებს სამთავრობო დონეზე, და აქვს წარმომადგენლობები ქვეყნის ყველა მსხვილ ქალაქში, რაც საშუალებას აძლევს გაავრცელოს თავის პოლიტიკა არა მხოლოდ მსხვილ ეკონომიკურ ცენტრებზე, არამედ ქვეყნის ყველა შტატზე. მსბ-ის განვითარების სახელმწიფო სტრატეგია განისაზღვრება „კანონით მცირე ბიზნესის შესახებ“. კანონში საუბარია, რომ თავისუფალ კონკურენციაზე და კერძო მეწარმეობაზე დაფუძნებული ქვეყნის ეკონომიკა არ შეიძლება განვითარდეს მსბ-ის სექტორის გარეშე. მსბ საჭიროებს მუდმივ მხარდაჭერას სახელმწიფოს მხრიდან, სწორედ ამას ახორციელებს SBA შემდეგი მიმართულებებით: აქვს წვდომა ფინანსურ რესურსებზე, ახდენს ფინანსურ საკონსულტაციო და ტექნიკურ-საორგანიზაციო სახის დახმარებას მსბ-ზე; ამასთან დახმარებას, რომელსაც ახორციელებს სახელმწიფო საკმაოდ მრავალმხრივია, უზრუნველყოფს მათ ტექნოლოგიური მოდერნიზაციით, და

იცავს მათ ინტერესებს. დღესდღეობით SBA არის მსოფლიოში ყველაზე მსხვილი სახელმწიფო ორგანიზაცია, რომელიც მიმართულია მსს-ის მხარდაჭერისკენ. მას აქვს 100-ზე მეტი წარმომადგენლობა და 4000-ზე მეტი თანამშრომელი. გარდა SBA-ისა აშშ-ში არსებობს არაერთი პროგრამა მსბ-ს სეგმენტის განვითარებისთვის. განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ინოვაციური მეწარმეობის განვითარებას.

მცირე და საშუალო ბიზნესი გერმანიაში. გერმანიაში მცირე ბიზნესი წარმოადგენს ეკონომიკის ერთ-ერთ ყველაზე აქტიურად და ამასთან სტაბილურად განვითარებად დარგს. გერმანიაში მცირე ბიზნესად მოიაზრება საწარმო სადაც დასაქმებულია 500 ადამიანამდე და ბრუნვა აქვს 50 მლნ ევრომდე. ასეთი მახასიათებლების მქონე საწარმოები გერმანიაში დაახლოებით 3 მილიონია.

სხვა განვითარებული ქვეყნებისგან განსხვავებით გერმანიაში მეტი ყურადღება ექცევა ექსპორტს და შესაბამისად მცირე ბიზნესიც ორიენტირებულია ამ კუთხით. მაგალითად მცირე საწარმოები წლიური ბრუნვით 10–50 მლნ. ევრო აქტიურად საქმიანობენ 20 მსოფლიო ბაზარზე. დაახლოებით 1500 მცირე საწარმო მსოფლიო ექსპორტიორებს შორის ლიდერები არიან. რამდენიმე საერთაშორისო ბაზარზე ასპარეზობა უზრუნველყოფს გერმანიის მცირე ბიზნესის სტაბილურობას. გერმანიის ეკონომიკის საყრდენი სწორედ მცირე ბიზნესია (მათი რიცხვი ყველა კომერციული სუბიექტის 99,7 %-ს შეადგენს).

მცირე ბიზნესის ტექნიკური და ფინანსური მხარდაჭერა ხორციელდება ხელისუფლების მიერ, ეს მხარდაჭერა პირველ რიგში უზრუნველყოფს წარმოების ინოვაციური ტიპის დარგების განვითარებას.

გერმანიაში შესანიშნავად ფუნქციონირებს მცირე ბიზნესის დაფინანსების მოდელი სახელმწიფო კომერციული ბანკის საშუალებით. გერმანიაში არსებობს 200 ზე მეტი პროგრამა, როგორც ფედერალურ ასევე უფრო მცირე მასშტაბის დონეზე.

მცირე საწარმოთა ეფექტურობა გერმანიაში საკმაოდ მაღალია. მათი შემოსავლის წილი ქვეყნის ჯამური შემოსავლის 50%-ს აღწევს. გარდა ამისა, სამუშაო ადგილების 2/3

მცირე ბიზნესის სფეროში დასაქმებულებზე მოდის, ამიტომაც მცირე საწარმოთა რიცხვი მუდმივად იზრდება.

გარდა პირდაპირი ფინანსური მხარდაჭერისა მცირე საწარმოებს სხვა ტიპის დახმარებებიც აქვთ. გერმანიის ბევრ ფედერალურ მიწაზე ხდება მცირე საწარმოების დამფუძნებელთა სხვადასხვა სემინარების და კურსების საფასურის ნაწილობრივი დაფინანსება. მცირე ბიზნესის საწარმოებს ეხმარებიან სხვადასხვა გამოფენებზე მონაწილეობის დაფინანსებაში, სარეკლამო პროდუქციის დაბეჭდვაში და პროდუქციის საზღვარგარეთ გატანასა და მის პოპულარიზაციაში.

მცირე და საშუალო ბიზნესი კანადაში. მცირე ბიზნესი კანადის ეკონომიკაში მნიშვნელოვან როლს თამაშობს. კანადაში მიმდინარე მონაცემებით სამ მილიონამდე მცირე და საშუალო საწარმო ფუნქციონირებს, რომელიც კერძო სექტორის მიერ გამოშვებული პროდუქციის დაახლოებით 50%-ს აწარმოებს. კანადის კერძო ბიზნესის განმასხვავებელი ნიშანი, მის მცირერიცხოვან თანამშრომელთა რაოდენობაშია. მცირე ბიზნესის $\frac{3}{4}$ -ს შეადგენს საწარმოები სადაც დასაქმებულთა რიცხვი 5 ადამიანს არ აღემატება, ამასთან დასაქმებულთა 75% მცირე ბიზნესში დასაქმებული ადამიანები არიან. კანადის მცირე საწარმოთა 13% სოფლის მეურნეობაშია დასაქმებული, ასევე პროფესიული მომსახურების სფეროში 11%, საბითუმო და საცალო ვაჭრობა 11%.

კანადის საგადასახადო და საფინანსო პოლიტიკა მნიშვნელოვნად უწყობს ხელს მცირე ბიზნესს. საშელავათო დაკრედიტების და გადასახადების სისტემა ხელს უწყობს ახალი ბიზნესის მიზანსწრაფულ განვითარებას. მცირე ბიზნესი აქტიურად ფინანსდება სახელმწიფოს მიერ. ქვეყნის ყველა პროვინციაში არის საკონსულტაციო ცენტრები კერძო მეწარმეთათვის, სადაც კერძო ბიზნესმენებისთვის სრულიად უფასოდ ტარდება სემინარები, ლექციები და ტრენინგები.

მეწარმეთა უფლებებსა და ინტერესებს ქვეყანაში იცავს კანადის დამოუკიდებელი ბიზნესის ფედერაცია (CFIB; Canadian Federation of Independent Business) რომელიც 100 ათას წევრს ითვლის.

ბიზნესის წარმოების შესწავლას კანადაში საშუალო სკოლიდან იწყებენ, რისი შედეგიცაა ის ფაქტი, რომ სასწავლო დაწესებულებების ახალდამთავრებული სტუდენტების მეოთხედი საკუთარ ბიზნესს იწყებს. ისინი გაერთიანებული არიან საზოგადოებრივ ორგანიზაციებში, რომლებიც ხელს უწყობენ მათ განვითარებას. (მაგ: Young Entrepreneurs Association, Association of Collegiate Entrepreneurs).

კანადის ხელისუფლების ერთ-ერთ თავისებურებას წარმოადგენს ის ფაქტი რომ, მხარს უჭერს ბიზნესს „სახლში“. საოჯახო ფართის გამოყენება ბიზნესისთვის ძალზედ პრაქტიკულია, ბიზნესმენი საკმაოდ დიდ ეკონომიას აკეთებს როგორ მატერიალური ასევე დროითი რესურსის კუთხით. ასეთ ბიზნესებს შეღავათები აქვთ სხვადასხვა კუთხით: საგადასახადო, კომუნალურ გადასახდელებზე, უძრავი ქონების გადასახადზე, დაზღვევაზე, სიგნალიზაციაზე. საოჯახო პირობებში მუშაობენ ექიმები, დიზაინერები, მასწავლებლები, ადვოკატები პროგრამისტები და მრავალი სხვა პროფესიის წარმომადგენლები. საოჯახო ოფისები საკმაოდ ხშირად არა მხოლოდ მცირე ზომის საწარმოების ადგილსამყოფელს წარმოადგენს, არამედ საკმაოდ მსხვილი ფირმების სათაო ოფისებია.

ასევე დიდი ყურადღება ეთმობა ემიგრანტებისა და უცხოელი ბიზნესმენებისთვის მცირე ბიზნესის განვითარების ხელშეწყობას. მათთვის შემუშავებულია დამატებითი შეღავათები, რომლებიც მოიცავს ბიზნესის წარმოების და ენის შესწავლის კურსებს.

მცირე და საშუალო ბიზნესი იაპონიაში. ამჟამად იაპონია ერთ-ერთი განვითარებული სახელმწიფოა. აღსანიშნავია, რომ ქვეყანამ ასეთ მნიშვნელოვან შედეგებს ომის შემდეგ, ეკონომიკის სწრაფი განვითარების ხარჯზე მიაღწია და ამას ახორციელებდა მსბ-ს სექტორში შემუშავებული ტექნიკური მიღწევების დანერგვით და სრულყოფით. დღეს მსს-ის წილი ქვეყნის ეკონომიკაში დაახლოებით 40%-ს შეადგენს. მსს-ები წარმოდგენილია ძირითადად სამშენებლო სფეროში, მსუბუქ მრეწველობაში და მომსახურე სფეროში.

მსს-ის რეგულირება იაპონიაში ხორციელდება სახელმწიფო ორგანიზაციების ხარჯზე, ისეთების როგორც არის „მცირე საწარმოების სამმართველო“. რომლის პოლიტიკის ძირითადი მიმართულება ანტიმონოპოლიური კანონების შესრულების კონტროლი, მსს-ის ინტერესთა მხარდაჭერა და მათი უზრუნველყოფა. ქვეყნის კანონმდებლობა აწესებს შეღავათებს წარმოების სფეროების შესაბამისად და ასევე ახორციელებს მკაცრ რეგულირებას მათ მიერ გამოშვებული პროდუქციის საბაზრო ღირებულებაზე, რაც საშუალებას აძლევს ხელმწიფოს აკონტროლოს ფასთა ზრდა და შეამციროს ინფლაციის დონე. მსს-ს სუბიექტების ფინანსური მხარდაჭერის მიზნით, იაპონიის ხელისუფლების მიერ შეიქმნა მსს-ს დაზღვევის კორპორაცია და ასოციაციები, რომლებიც ახორციელებენ კრედიტებზე გარანტიების გაცემას. მსს-ს განვითარების ყველა ეტაპზე იაპონიის მთავრობა გამოყოფს სუფსიდიებს, სესხებს და ახორციელებს მნიშვნელოვან დახმარებას მათთვის კრედიტების მიღებაში.

სახელმწიფო მხარს უჭერს მცირე და საშუალო ბიზნესს კონსალტინგის სფეროში, რეკლამაში, კადრების შერჩევაში და საორგანიზაციო საკითხების მოგვარებაში.

მცირე და საშუალო ბიზნესი ჩინეთში. ჩინეთის მთავრობა სხვადასხვა ხერხებით ცდილობს მსს-ს ეკონომიკის ზრდის ხელშეწყობას. სრულყოფს საკანონმდებლო აქტებს, არეგულირებს ეკონომიკის მიმართულებებს და მსს-ს სუბიექტთა საგადასახადო სისტემას. ჩინეთში აქტიურად მოქმედებს სამეცნიერო ფონდები, რომელიც ემსახურება მსს-ს განვითარების მხარდაჭერას. მათი ძირითადი მიმართულებები გამოიხატება მათთვის საბანკო კრედიტების გაცემაში ბიზნესის ხელშეწყობის მიზნით.

ჩინეთის მცირე და საშუალო ბიზნესი შეიძლება განვიხილოთ როგორც ქვეყნის მამოძრავებელი ძალა, რომლის წყალობითაც ეკონომიკის მოცემული სუბიექტი აწარმოებს ინოვაციური პროდუქტის და ტექნიკური გამოგონებების ყველაზე დიდ რაოდენობას ქვეყნის მასშტაბით. ამ პროდუქციის დიდი ნაწილი გადის ექსპორტზე. მცირე წარმოების მხარდაჭერას ასევე ახორციელებს ჩინეთის ბიზნესის კოორდინაციის და კოოპერაციის ცენტრი. ასევე აღსანიშნავია ჩინეთის სახელმწიფო საინფორმაციო სამსახური (CSMEO) იგი

შეიქმნა 2001 წელს. სამსახური ახორციელებს მსს-ს საკითხებთან დაკავშირებით საინფორმაციო უზრუნველყოფას. ქსელი წარმოდგენილია ჩინეთის ყველა რეგიონში, რაც მას აძლევს საშუალებას დროულად მოახდინოს მოსახლეობის ინფორმირება არსებული კანონმდებლობის ცვლილებების შესახებ, შრომის ბაზრის მდგომარეობის შესახებ, სამეცნიერო მიღწევების ბოლო მონაცემებზე, ტექნოლოგიური გამოგონებებისა, მსს-ის სუბიექტთა მდგომარეობასა და მათ განვითარებაზე.

ჩინეთში სწორედ მსს ქმნის ახალ სამუშაო ადგილებს და აქტიურად იღებს მონაწილეობას ინოვაციურ ტექნოლოგიების ათვისებაში. ჩინეთის ხელისუფლება თავის მხრივ დიდ ყურადღებას უთმობს მსს-ის განვითარებას. ახორციელებს საგადასახო რეგულირებების ოპტიმიზაციას, საკუთრების კანონმდებლობის სრულყოფას, ქმნის მცირე და საშუალო ბიზნესის მხარდამჭერ ფონდებს, აქტიურად მუშაობს ინვესტიციების მოზიდვის კუთხით.

1.3 მცირე და საშუალო ბიზნესის ძირითადი სტატისტიკური მონაცემების ანალიზი

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის, ბიზნეს სტატისტიკის დეპარტამენტი ამუშავებს მსხვილი, საშუალო და მცირე საწარმოების მონაცემებს. როგორც აღვნიშნე სტატისტიკის სამსახურის და საგადასახადო კოდექსის განმარტებები განსხვავდება ერთმანეთისაგან, ამიტომ სტატისტიკური მაჩვენებლების შედარება საკმაოდ რთულია. აღსანიშნავია, რომ სტატისტიკა და შესაბამისი ანალიზი აუცილებელია ნებისმიერი სექტორის მოკვლევის დროს.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში შეგვიძლია ვნახოთ საწარმოების ბრუნვის რაოდენობა ზომების მიხედვით (მონაცემი წარმოდგენილია მილიონ ლარში). სტატისტიკის სამსახური ბრუნვას განმარტავს როგორც საქონლისა და მომსახურების რეალიზაციის ღირებულებას. აღნიშნული მაჩვენებელი არ მოიცავს დღგ-ს. როგორც ვხედავთ მცირე და საშუალო

საწარმოები მთლიანი ბრუნვის დაახლოებით ნახევარს უზრუნველყოფენ, რაც საკმაოდ საინტერესო მაჩვენებელია, რადგან საწარმოთა რაოდენობის დაახლოებით 95% არის აღნიშნული სექტორი, შესაბამისად მსხვილი საწარმოები მხოლოდ 5%-ს წარმოადგენენ, მაგრამ იმავე რაოდენობის ბრუნვას ახორციელებს. ამის მიზეზი შესაძლოა იყოს ის ფაქტი, რომ მცირე და საშუალო საწარმოები როგორც უშუალოდ ბაზარს, ასევე მსხვილ კომპანიებს ემსახურებიან, ეს უკანასკნელი კი მეტ ღირებულებას ქმნის. შუალედური მოხმარება, არის იმ დანახარჯების ერთობლიობა, რომელიც გამოყენებულია პროდუქციის/მომსახურების წარმოების პროცესში. მონაცემებიდან ჩანს, რომ ყველაზე მაღალი შუალედური მოხმარებით მსხვილი საწარმოები გამოირჩევიან (8 650,2 მლნ. ლარი), რაც სრულიად ბუნებრივია ზემოაღნიშნული მიზეზის გამო.

საგადასახადო მიზნებისთვის მოცემული ბრუნვიდან შეუძლებელია გამოვყოთ დასაბეგრი დღგ-ს ბაზა, თუმცა დაახლოებით შეგვიძლია ვთქვათ რომ მცირე და საშუალო საწარმოები აგენერირებენ გადასახადის დაახლოებით ნახევარს.

საწარმოს ტიპი	ბრუნვა 2018წ.	ბრუნვა 2019წ.
მსხვილი	42,903	57,274
საშუალო	18,543	21,180
მცირე	25,179	30,123
სულ	86,625	108,577

ცხრილი 1.6

*ცხრილი შედგენილია საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემების მიხედვით.

პროდუქციის გამოშვება კიდევ ერთი მნიშვნელოვანი მონაცემია, რომელიც გვიჩვენებს თუ რა რაოდენობის საქონლის/მომსახურების წარმოება და რეალიზება მოახდინა საწარმომ.

საწარმოს ტიპი	პროდუქციის გამოშვება 2018წ.
მსხვილი	16,844
საშუალო	11,083
მცირე	13,723
სულ	41,649

ცხრილი 1.7

*ცხრილი შედგენილია საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემების მიხედვით. (მლნ. ლარი)

გამოშვების აღნიშნულ მონაცემებში მსხვილ ბიზნესზე მოდის პროდუქციის გამოშვების დაახლოებით 40 %, საშუალოზე - 27 %, ხოლო მცირე ბიზნესზე - 33 %. ეს მაჩვენებელი კიდევ ერთხელ განამტკიცებს იმ აზრს, რომ მცირე და საშუალო ბიზნესი ეკონომიკურ ზრდაში, ამ შემთხვევაში კი გამოშვებაში მნიშვნელოვან როლს თამაშობს (ჯამურად 60%-ს), მსხვილი ბიზნესის იგივე მაჩვენებელი კი მცირდება და ეს უკანასკნელი კარგავს დომინანტის როლს.

პროდუქციის წარმოებისა და რეალიზაციის მთლიანი ხარჯები შემდეგი პროპორციით ნაწილდება:

საწარმოს ტიპი	2018 წ.	პროცენტული მაჩვენებელი
მსხვილი	41,449	51%
საშუალო	16,732	21%
მცირე	22,560	28%
სულ	80,741	100%

ცხრილი 1.8

*ცხრილი შედგენილია საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემების მიხედვით. (მლნ. ლარი)

მთლიანი ხარჯების 51% მოდის მსხვილ საწარმოებზე, დანარჩენი კი მცირე და საშუალო საწარმოებზე, რაც საკმაოდ მაღალი მაჩვენებელია. აღნიშნულ ხარჯებში გადასახადები არის 378,8 მლნ. ლარი. პროცენტულად საგადასახადო ხარჯი მთლიანი ხარჯების 9%-ს ($=378,8/80,741$) შეადგენს, რაც როგორც საშუალო მაჩვენებელი დამაკმაყოფილებელია, თუმცა მცირე და საშუალო საწარმოებისათვის საკმაოდ დიდი ტვირთია, თუმცა მეორეს მხრივ კიდევ ერთხელ ვრწმუნდებით მათ მნიშვნელობაზე საბიუჯეტო შემოსავლებისათვის, რადგან მცირე საწარმო ხარჯებიდან დაახლოებით 2,030 ლარს ($=22,560*9%$) ბიუჯეტში იხდის, ხოლო საშუალო საწარმო დაახლოებით 1,506 ლარს ($=16,732*9%$).

როგორც ვისაუბრეთ მცირე და საშუალო საწარმოები დასაქმების ხელშეწყობის მნიშვნელოვანი ელემენტია, 2018 წლის მონაცემებით მთლიანად ბიზნესს სექტორში დასაქმებული იყო 734,215 ადამიანი ხოლო 2019 წელს მათი რაოდენობა შემცირდა და გახდა 713,899 კაცი. საინტერესოა ის ფაქტი რომ დასაქმებულთა რაოდენობის შემცირება მოხდა საშუალო და მცირე ბიზნესის ხარჯზე, მსხვილ საწარმოებში კი პირიქით მათი რაოდენობა გაიზარდა. ამის განმაპირობებელი ფაქტორი შესაძლოა იყოს საპენსიო რეფორმა, რომელიც თავისი ბუნებით გადასახადი არ არის, თუმცა 2%-ით უძვირებს საწარმოს შრომის ანაზღაურების ხარჯებს.

საწარმოს ტიპი	დასაქმებულთა რაოდენობა		საშუალო თვიური ხელფასი
	2018	2019	2018
მსხვილი	243,318	258,497	1,225
საშუალო	160,095	154,593	1,276

მცირე	330,803	300,809	892
სულ	734,216	713,899	1,101

ცხრილი 1.9 ცხრილი შედგენილია საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემების მიხედვით. (მლნ. ლარი)

მოცემული მაჩვენებლებით შეგვიძლია განვსაზღვროთ საშუალოდ ის საშემოსავლო გადასახადი, რომელსაც აღნიშნული ზომის საწარმოები იხდიან ფიზიკურ პირებთან ურთიერთობის შედეგად. ჯამში ეს თანხა 156.27 მილიონს შეადგენს 2018 წლის განმავლობაში, ამავე წელს ბიუჯეტში საშემოსავლო გადასახადმა კი 2,877,895 მილიონი ლარი შეადგინა.

საწარმოს ტიპი	დასაბეგრი ბაზა	საშემოსავლო გადასახადი
მსხვილი	298.06	58.4
საშუალო	204.28	40.04
მცირე	295.08	57.83

ცხრილი 1.10

*ცხრილი შედგენილია საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემების მიხედვით. (მლნ. ლარი)

სტატისტიკური მონაცემები არასრულ ხასიათს ატარებს, რადგან ისინი არის მიახლოებითი მაჩვენებლები და ამასთან მოცემული სექტორებისათვის მონაცემები მცირე რაოდენობით გვხვდება.

ეს ერთ-ერთი ყველაზე აქტუალური პრობლემაა რომლის მოგვარებაც მნიშვნელოვნად დაეხმარება ჩვენს ქვეყანას მცირე და საშუალო სექტორის კონტროლის საკითხებში, უფრო მარტივად დაანახებს სახელმწიფოს სექტორის სუსტ მხარეებს, სირთულეებს. მათ მოგვარებას კი სტატისტიკური ანალიზის საფუძველზე გაცილებით მარტივად შეძლებს

თავი II. გადასახადების არსი და საგადასახადო კონტროლის თეორიული საფუძვლები

2.1 საგადასახადო კონტროლის ცნება და მისი განხორციელების პრინციპები

დაბეგვრის მნიშვნელობისა და თავისებურებების სრულყოფილად გაგებისათვის აუცილებელია გადასახადების არსისა და საგადასახადო კონტროლის თეორიული საფუძვლების განხილვა.

საქართველოს საგადასახადო კოდექსი გადასახადებს განმარტავს შემდეგი სახით: “გადასახადი წარმოადგენს სავალდებულო, უპირობო ფულად შენატანს სახელმწიფო ბიუჯეტში, რომელსაც იხდის გადასახადის გადამხდელი, გადახდის აუცილებელი, არაექვივალენტური და უსასყიდლო ხასიათიდან გამომდინარე. მას კრეფს სახელმწიფო კანონით დადგენილი ოდენობით და წესით.” სწორედ ამ წესებსა და რაოდენობებს განსაზღვრავს და არეგულირებს საგადასახადო კონტროლი, მისი მთავარი მიზანია სუბიექტის კონტროლი, რათა ამ უკანასკნელმა გაითვალისწინოს და შეასრულოს დაბეგვრის წესები.

გადასახადებს ორი მთავარი ფუნქცია აქვთ, ესენია: ფისკალური და მარეგულირებელი ფუნქცია.

- გადასახადების ფისკალური ფუნქციის დახმარებით გენერირდება სახელმწიფოს ფუნქციონირებისათვის აუცილებელი და საჭირო ფულად რესურსები;
- მარეგულირებელი ფუნქციის მეშვეობით კი ხორციელდება შემოსავლების განაწილება. იგი უზრუნველყოფს ცალკეული ეკონომიკური პროცესების

სტიმულირებას/შენელებას, აძლიერებს/ასუსტებს კაპიტალის დაგროვებას, ზრდის/ამცირებს მოსახლეობის მსყიდველობითუნარიანობას.

საგადასახადო კონტროლი სახელმწიფოს ეხმარება მმართველობითი ფუნქციის განხორციელებაში. მისი მიზანია დაადგინოს გადასახადის გადამხდელის მიერ შესრულებული ვალდებულების შესრულება. საგადასახადო კონტროლის ფუნქციის შესრულებაში სახელმწიფოს ეხმარება საგადასახადო ორგანო და სხვადასხვა კანონი და ნორმატიული აქტები.

საგადასახადო კოდექსის თანახმად, საგადასახადო კონტროლის განხორციელების უფლება მხოლოდ საგადასახადო ორგანოს აქვს, სხვა სამართალდამცავ და მაკონტროლებელ ორგანოებს ეკრძალებათ გადამხდელის, საგადასახადო საქმიანობის კონტროლი. ჩვენი ქვეყნის საგადასახადო ორგანოებს წარმოადგენენ: შემოსავლების სამსახური და მისი შემადგენლობა, ფინანსთა მინისტრის მიერ განსაზღვრული სტრუქტურული ერთეულები. აღნიშნულ ორგანოებს გააჩნიათ განსხვავებული ფუნქციები, ამასთან მათი საერთო ფუნქცი გადამხდელთა კონტროლია.

საგადასახადო კონტროლი ხორციელდება სხვადასხვა პრინციპების გათვალისწინებით, მათ შორისაა ზოგადსამართლებრივი პრინციპები:

- კანონიერების პრინციპი;
- იურიდიული თანასწორობის პრინციპი;
- ადამიანისა და მოქალაქის უფლებების დაცვის პრინციპი;
- პასუხისმგებლობის გარდუვალობის პრინციპი;
- უფლებების დაცვის პრინციპი.

ასევე შეგვიძლია გამოვყოთ სხვა სპეციალური პრინციპებიც:

- საყოველთაო;
- ერთიანობის;
- ტერიტორიულობის;

- საგადასახადო საიდუმლოების დაცვის;
- საგადასახადო კონტროლის განხორციელებისას არამართლზომიერი მოქმედებით მიყენებული ზიანის ანაზღაურების პრინციპი.

ზემოთ აღნიშნული პრინციპები წარმოადგენენ საგადასახადო კონტროლის ძირითად (ფუძემდებლურ) პრინციპებს, მათ გარდა კიდევ მრავალ პრინციპს ეყრდნობა აღნიშნული პროცესი.

მუდმივად განხილვის საგანს წარმოადგენს საგადასახადო კონტროლის გაუმჯობესებისა და ეფექტიანობის ამაღლების ძირითადი მიმართულებების ჩამოყალიბება და სხვადასხვა რეფორმების გატარება, მოცემული კუთხით.

არსებობს საგადასახადო კონტროლის სამი სახე:

- მიმდინარე კონტროლი;
- გადასახადის გადამხდელის საქმიანობაზე დაკვირვება;
- საგადასახადო შემოწმება.

მოცემულმა საგადასახადო კონტროლის პროცესებმა ხელი არ უნდა შეუშალონ სუბიექტის ეკონომიკური საქმიანობას.

საქართველოს საგადასახადო ორგანო გამოყოფს მიმდინარე კონტროლის რამდენიმე სახეს, ესენია: ქრონომეტრაჟი, საგადასახადო მონიტორინგი, საკონტროლო შესყიდვა, დათვალიერება და ინვენტარიზაცია.

ქრონომეტრაჟი საგადასახადო კონტროლის ერთ-ერთი პროცედურაა, რომელსაც საგადასახადო ორგანო მიმართავს კონკრეტული მეწარმის ან მეწარმეთა გარკვეული ჯგუფის შესამოწმებლად. მისი მიზანი არის დროის კონკრეტულ მონაკვეთში გადასახადის გადამხდელის შემოსავლების რაოდენობისა და მიწოდებული საქონლის (მომსახურების) მოცულობის დადგენა.

მიმდინარე კონტროლის კიდევ ერთი სახეა საგადასახადო მონიტორინგი, რომლის მიზანიცაა მოიპოვოს სრული ინფორმაცია გადამხდელის ეკონომიკური საქმიანობის

შესახებ, ასევე რაოდენობრივად აღრიცხოს გადამხდელის ეკონომიკურ საქმიანობაში გამოყენებული პროდუქცია, შესყიდვა და დანაკარგები. საგადასახადო მონიტორინგი ავლენს უშუალოდ დაბეგვრის ობიექტის ან მის საქმიანობასთან დაკავშირებული ინფორმაციის დაფარვის რისკებს.

საგადასახადო ორგანო სარგებლობს უფლებით, რომ გადამხდელის ეკონომიკური საქმიანობის კონტროლის მიზნით, მიამაგროს რამდენიმე უფლებამოსილი პირი, რომლებიც ადგილზე განახორციელებენ საგადასახადო მონიტორინგს რათა მოიპოვონ ინფორმაცია საგადასახადო შემოწმების დროს. ისევ და ისევ საგადასახადო მონიტორინგმა ხელი არ უნდა შეუშალოს გადამხდელს ეკონომიკური საქმიანობის განხორციელების პროცესში.

საგადასახადო მონიტორინგის დასრულების შემდეგ, წარმოებული აღრიცხვის ჟურნალი და ყველა თანდართული მასალა გადაეცემა საგადასახადო ორგანოს და თითოეული გადამხდელისათვის დგება ე.წ. პირადი საქმე.

მიმდინარე კონტროლის კიდევ ერთი მექანიზმია საკონტროლო შესყიდვა. მისი მიზანია: სუბიექტის მიერ მიღებული რეალური შემოსავლის დადგენა, საქონლის სარეალიზაციო ფასის განსაზღვრა და ისეთი ფაქტების გამოვლენა, რომლებიც წინააღმდეგობაში მოდის საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობასთან. საკონტროლო შესყიდვა ტარდება საგადასახადო ორგანოს მინიმუმ ორი უფლებამოსილი პირის მიერ. საკონტროლო შესყიდვის დასრულების შემდეგ დგება ოქმს „საკონტროლო შესყიდვის შედეგების შესახებ“.

როგორც აღვნიშნე სსკ-ის თანახმად, გადასახადის გადამხდელის საქმიანობაზე დაკვირვების ერთ-ერთი ფორმა არის დათვალიერება. დათვალიერება – ეს საგადასახადო ორგანოს უფლებამოსილი პირის მიერ განხორციელებული პროცესია, რომელიც მიმართულია საგადასახადო კონტროლის განხორციელებისათვის მნიშვნელოვანი გარემოებების გამოსავლენად.

დათვალიერება გულისხმობს გადასახადის გადამხდელის ტერიტორიისა და შენობა-ნაგებობების, გარე და შიდა სივრცის ვიზუალურ და ტექნიკურ დათვალიერებას. მისი ჩატარება შესაძლებელია სასამართლოს ბრძანების გარეშე, გარდა ფიზიკური პირის საცხოვრებელი ბინის დათვალიერებისა. ასევე შესაძლოა მოხდეს ეკონომიკური საქმიანობისთვის გამოყენებული ნებისმიერი სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის ვიზუალური დათვალიერებაც. პროცესის დასრულების შემდეგ დგება ოქმი „დათვალიერების შედეგების შესახებ“.

ინვენტარიზაციის მიზანია გადასახადის გადამხდელის მფლობელობაში არსებული სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების, მასალების და მზა პროდუქციის აღრიცხვა, მათი შედარება საბუღალტრო დოკუმენტაციასთან, ნაშთებთან და აღურიცხავი, ობიექტების გამოვლენა. ბუნებრივია, ინვენტარიზაციის ჩატარება შესაძლებელია ისეთი სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების სახეობებზე, რომელთა დასაწყობება დათვლა, და გაზომვა შესაძლებელია.

საგადასახადო ორგანოს უფლებამოსილ პირს, პროცედურის დაწყებამდე შეუძლია სათავსოების დალუქვა. გადამხდელის ხელმძღვანელს ეძლევა ორი სამუშაო დღე და იგი ვალდებულია ამ დროში შექმნას საინვენტარიზაციო კომისია, რომელიც ჩაატარებს ინვენტარიზაციას. ინვენტარიზაციის საბოლოო შედეგები უნდა აისახოს შესაბამის ოქმში.

ერთ-ერთი ყველაზე ეფექტიანი საგადასახადო კონტროლი არის, საგადასახადო შემოწმება. მისი განხორციელება საჭიროა მოსალოდნელი საგადასახადო სამართალდარღვევის თავიდან აცილებისათვის, რაც თავის მხრივ ბიუჯეტში შემოსავლების მობილიზების წინაპირობაა. მიმდინარე კონტროლის პროცედურები გამოიყენება ყველა იურიდიული პირის მიმართ. საგადასახადო კონტროლის საფუძველი არის გადასახადის გადამხდელის აღრიცხვა საგადასახადო ორგანოში, რაც საშუალებას აძლევს მას მიიღოს ინფორმაცია გადამხდელის საქმიანობის შესახებ.

კამერალური საგადასახადო შემოწმება განსხვავდება სხვა შემოწმებისაგან, რადგან ამ დროს, შემოწმება ხდება შესაბამისი ორგანოს უფლებამოსილი პირის ბრძანების

საფუძველზე, ობიექტზე გაუსვლელად და წინასწარ უკვე განსაზღვრულია შესამოწმებელი საკითხები. კამერალური შემოწმება ტარდება კანონით დადგენილი პერიოდულობით და მისი ხანგრძლივობა არ არის განსაზღვრული საქართველოს საგადასახადო კოდექსით.

კამერალურმა შემოწმებამ უნდა მოიცვას მხოლოდ ის ოპერაციები, რომლებიც ზეგავლენას ახდენენ ბიუჯეტში გადასახდელი თანხის გაანგარიშებაზე. კამერალური საგადასახადო შემოწმების საჭიროა რათა დაიგეგმოს გასვლითი და საგადასახადო შემოწმება და მოხდეს ადმინისტრირების ღონისძიებების ოპტიმიზაცია.

გასვლითი საგადასახადო შემოწმება საგადასახადო კონტროლის ყველაზე ეფექტიანი ფორმაა. შესამოწმებელი საკითხების მოცულობის მიხედვით გასვლითი საგადასახადო შემოწმება შეიძლება იყოს სრული ან თემატური.

სრული საგადასახადო შემოწმება გულისხმობს დროის გარკვეული პერიოდისათვის გადამხდელის საქმიანობის შემოწმებას საგადასახადო კანონმდებლობის დაცვით, თითოეულ საკითხზე. ხოლო თემატური საგადასახადო შემოწმება გულისხმობს კონკრეტული საკითხების შემოწმებას.

საგადასახადო კონტროლის თითოეული სახე მნიშვნელოვან როლს ასრულებს სახელმწიფოსათვის, რაღა ამ უკანასკნელმა აკონტროლოს გადამხდელთა ჯგუფი და ხელი შეუწყოს როგორც ბიუჯეტის ფორმირებას ასევე ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებას.

2.2 საგადასახადო ადმინისტრირება საქართველოში

გადასახადები მნიშვნელოვან როლს ასრულებს საბაზრო ურთიერთობების ჩამოყალიბებაში, მითუფრო გარდამავალი ეკონომიკის პირობებში, ამიტომ, გამართულად ფუნქციონირებადი საგადასახადო სისტემა მნიშვნელოვანია საქართველოსთვის.

ზოგადად მეწარმეობისათვის და მითუფრო მცირე და საშუალო საწარმოებისათვის, სამეწარმეო სექტორის განვითარებისათვის შემაფერხებელ ფაქტორად გვევლინება მოქმედი საგადასახადო სისტემა. დასავლეთის ქვეყნების საგადასახადო მოდელების

გადმოღებამ, ჩვენი გადამხდელებისათვის იგი რთული და ფაქტობრივად გაუგებარი გახდა.

ხელისუფლების უპირველესი ამოცანა არის გადაწყვიტოს დაბეგვრის რა წესი და განაკვეთი იქნება ეფექტური წარმოებისათვის, და ზოგადად ეკონომიკის გაჯანსაღებისა და განვითარებისათვის. სახელმწიფოს ფისკალური პოლიტიკის ამოცანებია: სამართლიანი და ეფექტური საგადასახადო სისტემის ჩამოყალიბება, ეკონომიკაში სტაბილურობის უზრუნველყოფა და სახელმწიფო ხარჯების ოპტიმიზაცია.

თეორიულად და პრაქტიკულად გააზრებულ საგადასახადო სისტემას შეუძლია ეროვნულ ეკონომიკაზე დადებითი ზეგავლენის მოხდენა. იგი აღმოფხვრის ნეგატიურ მოვლენებს და უზრუნველყოფს ეკონომიკურ და სამართლებრივ ბაზაზე აგებულ საგადასახადო დაბეგვრას. აუცილებელია გადასახადების მეშვეობით განხორციელდეს ინვესტიციებისა და ექსპორტის წახალისება. ამისათვის აუცილებელია ქვეყანაში ლიბერალური საგადასახადო კანონმდებლობის საშუალებით საინვესტიციო გარემოს განვითარება, ეკონომიკური ზრდის დაჩქარება, მაღალი მაჩვენებლების მიღწევა და რაც მთავარია შენარჩუნება, საგადასახადო ადმინისტრირების ეფექტურად განხორციელება. ამ მიზნების მიღწევა კი შესაძლებელია გადასახადების ლიბერალიზაციით ანუ, განაკვეთების შემცირებით.

საქართველოს საგადასახადო სისტემა რამდენიმე სახის გადასახადს მოიცავს. მათი კლასიფიცირება სხვადასხვა ნიშნის მიხედვით ხდება. გადასახადები იყოფა ორ ტიპად, კერძოდ: პირდაპირ და არაპირდაპირ გადასახადებად. პირდაპირია გადასახადები, რომლებიც უშუალოდ შემოსავალზე, ან ქონებაზე ირიცხება. არაპირდაპირ გადასახადებს კი მიეკუთვნება ისეთი გადასახადები, რომლებსაც მოიცავს საქონლის/მომსახურების ღირებულება.

საგადასახადო კოდექსის მიხედვით, საქართველოში მოქმედებს 6 სახის გადასახადი, რომელთაგან 5 არის საერთო სახელმწიფოებრივი და 1 არის ადგილობრივი გადასახადი.

საერთო-სახელმწიფოებრივ გადასახადებში შედის: საშემოსავლო გადასახადი; მოგების გადასახადი; დამატებული ღირებულების გადასახადი, აქციზი და იმპორტის გადასახადი, ხოლო ადგილობრივ გადასახადს მხოლოდ ქონების გადასახადი მიეკუთვნება.

საშემოსავლო გადასახადით იბეგრება ფიზიკური და იურიდიული პირის შემოსავალი. მას სხვანაირად კორპორაციულ გადასახადს უწოდებენ. საქართველოს კანონმდებლობით, საშემოსავლო გადასახადის განაკვეთი არის 20%-ს.

მოგება არის დადებითი სხვაობა ფირმის ერთობლივ შემოსავლებსა და დანახარჯებს შორის, ფირმა ვალდებულია გადაიხადოს მოგების გადასახადი, რომლის განაკვეთიც არის 15 %.

საგადასახადო კოდექსის თანახმად პირს აქციზის გადახდის ვალდებულება წარმოეშვება მაშინ, როდესაც უშუალოდ აწარმოებს აქციზურ საქონელს საქართველოში ან ახორციელებს ასეთი საქონლის ექსპორტსა და/ან იმპორტს. ასევე თუ პირი ახორციელებს მობილურ-საკომუნიკაციო მომსახურების გაწევას ან ავტოსატრანსპორტო საშუალებებს აწვდის ბუნებრივ აირს. აქციზის გადასახადის განაკვეთი დიფერენცირებულია და განისაზღვრება ინდივიდუალურად, თითოეული საქონლის მიხედვით.

დამატებული ღირებულების გადასახადის საბოლოო გადამხდელი არის მყიდველი , რადგან იგი შედის საქონლის და მომსახურების ფასში, შესაბამისად დღგ არის არაპირდაპირი გადასახადი. კოდექსის მიხედვით დღგ-ს გადამხდელი ხდება პირი რომლის დასაბეგრი ბრუნვაც, ბოლო ერთი უწყვეტი წლის განმავლობაში აღემატებოდა 100,000 ლარს. მისი განაკვეთი არის 18%. ამ გადასახადის ეკონომიკური არსი გამართლებულია, რადგან როდესაც ბიზნესი საქონელს დამატებულ ღირებულებას სძენს, გადასახადს იხდის სწორედ ამ ღირებულებით.

პირი რომელიც ახორციელებს საქართველოში საქონლის იმპორტს ვალდებულია გადაიხადოს იმპორტის გადასახადი. გადასახადის განაკვეთი არის ორი 12% და 5%. ამასთან საქონლის ექსპორტი გათავისუფლებულია გადასახადებისაგან.

ერთადერთ ადგილობრივ გადასახადს წარმოადგენს ქონების გადასახადი, მისი განაკვეთი დიფერენცირებულია ტერიტორიული ერთეულების მიხედვით, კოდექსით განსაზღვრულია გადასახადის ზედა ზღვარი 1%.

საგადასახადო დაბეგვრა მნიშვნელოვანია სახელმწიფოს ფუნქციონირებისათვის, მაგრამ წლების განმავლობაში საქართველოსთვის იგი უდიდესი პრობლემა იყო. 2005 წელს ახალი საგადასახადო კოდექსის შემოღებამ მნიშვნელოვანი გარდატეხა მოახდინა საგადასახადო რეგულირების კუთხით, კერძოდ: შემცირდა გადასახადები, დარეგულირდა პროცედურული საკითხები, შემცირდა კორუფცია და საგრძნობლად გაუმჯობესდა კოდექსის გამოყენების მაჩვენებელი, ამ ყველაფერმა მნიშვნელოვანი დადებითი ზეგავლენა მოახდინა სახელმწიფოს შემოსავლების ზრდაზე. 2005 წლის საკანონმდებლო ცვლილებების შემდეგ არსებული 21 გადასახადიდან შენარჩუნდა მხოლოდ 6.

გადასახადების განაკვეთების დინამიკა საქართველოში

გადასახადის სახე	გადასახადები და განაკვეთები 2005 წლის 1 იანვრამდე (%)	გადასახადები და განაკვეთები 2008 წლის 1 იანვრამდე (%)	გადასახადები და განაკვეთები 2008 წლიდან (%)
სამშენობისაგელო გადასახადი	12%-20%	12%	20%
მოგების გადასახადი	20%	20%	15%
სოციალური გადასახადი	31%+1%	20%	
დღგ	18%	18%	18%
აქციზი	დიფერენცირებული	დიფერენცირებული	დიფერენცირებული
ქონების გადასახადი	0.1-1%	არა უმეტეს 1%	არა უმეტეს 1%
ავტოსატრანსპორტო საშუალებათა მესაკუთრეთა გადასახადი	დიფერენცირებული	სამაჟო გადასახადი-დიფერენცირებული	სამაჟო გადასახადი-დიფერენცირებული
გადასახადი ქონების გადაცემისათვის		გაუქმებულია	გაუქმებულია
გადასახადი მუნიციპალიტეტის რესურსებით სარგებლობისათვის		გაუქმებულია	გაუქმებულია
გადასახადი მკვნივთიერებებით გარემოს დაბინძურებისათვის		გაუქმებულია	გაუქმებულია
გადასახადი საქართველოში ავტოსატრანსპორტო საშუალებების შემოსვლისათვის და ზენორმატიული დატვირთვისათვის	დიფერენცირებული	გაუქმებულია	გაუქმებულია
ფიქსირებული გადასახადი	დიფერენცირებული	გაუქმებულია	გაუქმებულია
მცირე ბიზნესის გადასახადი	5%	გაუქმებულია	გაუქმებულია
ადგილობრივი გადასახადი, რომელიც აერთიანებდა 7 გადასახადს	დიფერენცირებული	გაუქმებულია	გაუქმებულია

ცხრილი 2.1 ცხრილი შედგენილია სსკ-ის ინფორმაციაზე დაყრდნობით

ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი პრობლემა, რომლის წინაშეც დგას საგადასახადო ორგანო არის საზოგადოების ტრადიციული დამოკიდებულება გადასახადის გადახდის


მიმართ. გადამხდელი მუდმივად გაურბის და ცდილობს შეიმციროს გადასახადები, რაც იმაზე მეტყველებს რომ საქართველოში გადასახადების გადახდის კულტურა ჯერჯერობით კიდევ განვითარების ეტაპზეა. საზოგადოების ინფორმირებულობის დონე საგადასახადო კუთხით ჯერ კიდევ შორსაა ეფექტური მაჩვენებლისაგან.

კულტურაში ვგულისხმობ საგადასახადო საქმიანობაში ჩართულ ორივე მხარეს, გადამხდელსა და საგადასახადო ორგანოს, რადგან სწორედ მათი ურთიერთქმედება ქმნის სისტემას. აქედან გამომდინარე საჭიროა მათი საკანონმდებლო ცოდნის ამაღლება, შეხედულებების ცვლილება და სახელმწიფო მოწყობის თავისებურებების სწორად აღქმა, რადგან არ იფიქრონ, რომ მათ მიერ გადახდილ გადასახადებს სახელმწიფო არამიზნობრივად ხარჯავს.

როგორც ცხრილის დახმარებით ვნახეთ საგადასახადო კოდექსში შეტანილი ცვლილებები ამარტივებს გადასახადის განაკვეთებს და ლიბერალურს ხდის მათ გადამხდელისათვის. თუმცა ჯერ კიდევ დასახვეწია ადმინისტრირების ნაწილი, რადგან იგი რთულად გასაგებია მეწარმეთათვის და უმეტესობას კოდექსის წაკითხვაც კი უჭირს. აქედან გამომდინარე ხშირია შემთხვევები, როდესაც გადამხდელი უნებლიედ და არა გამიზნულად ახორციელებს ოპერაციების არასწორად დაბეგვრას.

საგადასახადო კანონმდებლობის ხშირი ცვლა ქმნის არასტაბილურ გარემოს. კოდექსში 2010 წლიდან დღემდე 160-ზე მეტი ცვლილება განხორციელდა. ცვლილებების რაოდენობა ცალსახად შემცირებულია (2003-2004 წლებში, განხორციელდა 45 და 61 ცვლილება), თუმცა მაინც საკმაოდ დიდი რიცხვია. მცირე და მიკრო საწარმოებს არ აქვთ შესაბამისი რესურსი, რომ რჩევა და განმარტება მიიღონ შესაბამისი, კვალიფიციური კონსულტანტისაგან, ხშირ შემთხვევაში არ ყოფნით კვალიფიკაცია, რომ თავად გაეცნონ სიახლეებს. ყველაფერი ეს ქმნის მათი მხრიდან საგადასახადო ადმინისტრირების პრობლემას, რაც მნიშვნელოვანი შემაფერხებელი ფაქტორებია ბიზნესის გაზრდისა და გაფართოებისათვის. ამასთან საგადასახადო სისტემის მოუწესრიგებლობამ გამოიწვია ე.წ. ჩრდილოვანი ეკონომიკის განვითარება და გადასახადებით მანიპულირებას უწყობდა ხელს.

სახელმწიფო ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლების დინამიკა
2002-2019



ცხრილი 2.2 ცხრილი შედგენილია საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მონაცემების გამოყენებით

საქართველოს ბიუჯეტისათვის საგადასახადო შემოსავლებს დიდი მნიშვნელობა აქვს, როგორც 2002-2019 წლების დინამიკა გვიჩვენებს საგადასახადო შემოსავლები, მთლიანი შემოსავლების საშუალოდ 81%-ს შეადგენს.

დიდი ნაწილისათვის საგადასახადო კოდექსი იმდენად ბუნდოვანია, რომ ზოგჯერ საგადასახადო ინსპექტორებსაც კი უჭირთ მისი ინტერპრეტირება, ბიზნესის წარმომადგენლები კი აღნიშნავენ, რომ ეს ფაქტი მათ არათანაბარ პირობებში აყენებთ, რადგან საგადასახადო ორგანოს შეუძლია ეს ფაქტი თავის სასარგებლოდ გამოიყენოს.

ევროკავშირის ქვეყნებში ეს პრობლემა მეტ-ნაკლებად დარეგულირებულია, რადგან ცვლილებები საგადასახადო კუთხით წელიწადში მაქსიმუმ ორჯერ ხდება. ეს დრო საკმარისია იმისათვის რომ, ბიზნეს სექტორი გაეცნოს სიახლეებს ხოლო სახელმწიფომ დაინახოს ამ სიახლის პრაქტიკული ზეგავლენა.

საგადასახადო კანონმდებლობა საკმაოდ რთული წასაკითხია. საგადასახადო კანონმდებლობის უკეთ გაგების მიზნით თითქმის ყველა ქვეყანაში ხელისუფლება გამოსცემს სპეციალურ ინსტრუქციებს, სადაც ახსნილია, როგორ უნდა იქნას წარდგენილი გადასახადის გადამხდელის დეკლარაცია, როგორ უნდა შეავსოს მან ფორმები, გამოთვალოს დასაბეგრი ბაზა, გამოქვითოს და დაგეგმოს გადახდები. ასეთი ინსტრუქციები ჩვენც გვაქვს თუმცა, მრავალი ბიზნეს ერთეული და ექსპერტი თანხმდება, რომ საგადასახადო ორგანოს მიერ გამოცემულ განმარტებით ინსტრუქციებში, უმეტეს შემთხვევაში ახსნის გარეშე სწორედ საგადასახადო კოდექსის ბუნდოვანი ასპექტები რჩება.

ფინანსური განათლების დონის ამაღლების მიზნით რამდენიმე ინიციატივას გვთავაზობს სახელმწიფო. ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახური უფასო ტრენინგებს სთავაზობს მსურველებს „მსს ფასს“ სტანდარტთან დაკავშირებით. 2018 წელს საქართველოს ეროვნულმა ბანკმა კი მცირე და მიკრო მეწარმეებისათვის შექმნა ფინანსური განათლების პროგრამა, თუმცა ეს პროგრამა უფრო მეტად მიმართულია ბიზნესის დაფინანსების წყაროების, შეფასების ინდიკატორებისა და ფინანსური სერვისების შესახებ. აღნიშნულ პროგრამაში ჩაერთო დაახლოებით 1,000 მცირე და საშუალო საწარმო წელიწადში. სიახლეა ისიც, რომ 2019 წლიდან ფინანსური განათლების სკოლის სასწავლო პროგრამაში შეტანის საკითხიც განიხილება.

აღნიშნული მომავალში მნიშვნელოვან როლს ითამაშებს ფინანსური განათლების დონის ამაღლებაში. სასურველი იქნება რომ მსგავსი ტრენინგები და სასწავლო პროგრამები დაინერგოს საქართველოს საგადასახადო კოდექსის შესწავლის მიზნითაც, რაც მსს სექტორს აუმაღლებს ცნობიერებას დაბეგვრის კუთხით და გაუმარტივებს კანონმდებლობაში გარკვევის პროცესს.

საქართველო მუდმივად ცდილობს გაითვალისწინოს მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნების გამოცდილება და ამის საფუძველზე გაატაროს რეფორმები ქვეყანაში. თუმცა, როდესაც უცხოური გამოცდილების გაზიარებაზე ვსაუბრობთ აუცილებლად უნდა

გავითვალისწინოთ მაკროეკონომიკური ფაქტორები, წინააღმდეგ შემთხვევაში სხვა ქვეყანაში გამართლებული მოდელი შესაძლოა წამგებიანი აღმოჩნდეს ჩვენი ქვეყნისათვის.

გადასახადების შემცირება ეკონომიკის ზრდას იწვევს, ბიზნეს სექტორი უფრო აქტიური ხდება, მცირდება უმუშევრობა, რაც იწვევს შემოსავლების ზრდას როგორც კერძო სექტორის ასევე სახელმწიფო, ამ უკანასკნელის ზრდა კი საშუალებას იძლევა კიდევ უფრო გაუმჯობესდეს ქვეყანაში ეკონომიკური მდგომარეობა.

იმისათვის, რომ გადასახადები მაქსიმალურად მომგებიანი იყოს საჭიროა განაკვეთები მოვარგოთ გადამხდელთა გარკვეულ ჯგუფებს. მრავალ დონიანი საგადასახადო სისტემა გამართლებულია მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში. შემოსავლების დაგენერირების შესაძლებლობის მიხედვით სექტორები მნიშვნელოვნად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან, ერთნაირი დაბეგვრა კი ზოგიერთ მათგანს აყენებს უარეს ან უკეთეს მდგომარეობაში ან სულაც იწვევს საწარმოს გაკოტრებას, ამიტომ სხვადასხვა დონე საშუალებას მოგვცემს ინდივიდუალურად მივუდგეთ სხვადასხვა სექტორებს და შესაბამისად წავახალისოთ ისინი.

საგადასახადო ტვირთი ბიზნესს სექტორს არ უნდა აფერხებდეს და არ უნდა ამცირებდეს მის ფუნქციონირებას, ამიტომ შემოსავლის პროპორციული საგადასახადო სისტემის არსებობა შეუმსუბუქებს ბიზნესს სექტორს და მითუფრო მცირე და საშუალო სექტორს სირთულეებს ოპერირების დროს.

მნიშვნელოვანია, რომ ახალი საგადასახადო პოლიტიკის ფორმირების დროს სახელმწიფომ უნდა იმოქმედოს ოპტიმალურად და აკონტროლოს ცვლილებების ეკონომიკაზე ზემოქმედების დონე. სახელმწიფო აქტიურად უნდა აკონტროლებდეს საგადასახადო ტვირთის მაჩვენებელს, მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნების გამოცდილებაზე დაყრდნობით ამ მაჩვენებლის ზედა ზღვარი 30-40 პროცენტია, ამის შემდეგ მეწარმეთა უმრავლესობა წყვეტს საქმიანობას. ამ მაჩვენებლის ეფექტიანი დონე კი 25-30 პროცენტია.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში ძალიან ბევრი ცვლილება განხორციელდა, საგადასახადო სისტემა მაინც გაუმართავია და არ არის სრულყოფილი. საგადასახადო

ადმინისტრირება უნდა ზრუნავდეს როგორც საბიუჯეტო შემოსავლების ფორმირებაზე ასევე ბიზნეს სექტორის საქმიანობის გაუმჯობესებაზე, ბალანსი ამ ორს შორის კი ძალიან მნიშვნელოვანია.

საბოლოოდ საგადასახადო ადმინისტრირების სრულყოფისათვის აუცილებელია რამდენიმე პრინციპის დაცვა: საგადასახადო განაკვეთების გადახედა და დიფერენცირებული განაკვეთების შემოღება, გადამხდელების საგადასახადო ცოდნის ამაღლება, საგადასახადო ადმინისტრირების ხარჯების შემცირება, დაბეგვრის სრული სისტემის რაციონალურობა. ეს ყველაფერი ერთმანეთთან მჭიდრო კავშირშია.

საგადასახადო განაკვეთების ფორმირებისას აუცილებელია ისეთი განაკვეთის შემოღება, რომლის დროსაც საბიუჯეტო შემოსავლები დაგენერირდება და ბიზნესსაც მიეცემა საკუთარი შემოსავლის გამოყენების საშუალება.

2.3 მიკრო და მცირე ბიზნესის სტატუსის მქონე ფიზიკური პირების დაბეგვრა საქართველოში

საგადასახადო კოდექსი მცირე და მიკრო საწარმოებს განიხილავს, როგორც ბიზნეს სექტორის განვითარების მნიშვნელოვან და ყველაზე მცირე ელემენტად. ამიტომ დაბეგვრის კუთხით მათ ყოველთვის მეტი შეღავათი ქონდათ, რათა გადასახადებს არ დაემძიმებინა მათი ეკონომიკური მდგომარეობა. უნდა გავითვალისწინოთ ის გარემოებაც, რომ მიკრო და მცირე საწარმოების დიდი ნაწილი თავს არიდებდა საგადასახადო კოდექსის შესაბამისად დაბეგვრას და გადასახადების გადახდას, ამიტომ სახელმწიფოს მხრიდან შეღავათების დაწესება და ადმინისტრირების გამარტივება შესაძლოა მივიჩნიოთ, როგორც ბიზნესის ლეგალიზაციისაკენ და ჩრდილოვანი ბიზნესის წილის შემცირებისაკენ გადადგმული მნიშვნელოვანი ნაბიჯი. შეგვიძლია ვთქვათ, რომ ამან გაამართლა, რადგან საქართველოს შემოსავლების სამსახურის სტატისტიკური მაჩვენებლების მიხედვით,

საგადასახადო კანონმდებლობის შეცვლის შემდეგ დარეგისტრირება მოითხოვა 83,231 მცირე და მიკრო საწარმომ, მათგან 43,761 იყო მცირე საწარმო 39,470 კი მიკრო საწარმო.

მიკრო და მცირე ბიზნესისათვის საგადასახადო შეღავათები 2010 წლიდან არსებობს, სწორედ ამ პერიოდში ჩამოყალიბდა შესაბამისი კანონმდებლობაც, კერძოდ ფინანსთა სამინისტროს კანონი „საშემოსავლო გადასახადის სპეციალური დაბეგვრის რეჟიმების გამოყენების შესახებ“. საინტერესოა ის ფაქტი, რომ საშუალო საწარმოებისათვის რაიმე სახის შეღავათებზე დღემდე არავინ საუბრობს, რაც ცალსახად არათანაბარ პირობებში აყენებს მას მსხვილ საწარმოებთან მიმართებაში, რადგან იბეგრებიან გადასახადების ერთნაირი განაკვეთებით.

საქართველო მცირე და მიკრო საწარმოების საგადასახადო ადმინისტრირებას ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტთან მჭიდრო კავშირის საფუძველზე ახორციელებს. განხორციელებული ცვლილებებისა და სიახლეების მიზეზად ფინანსთა სამინისტრო სწორედ ევროკავშირის საბჭოს დირექტივებთან დაახლოებას ასახელებს.

საგადასახადო კოდექსის მიხედვით მიკრო ან მცირე მეწარმის სტატუსის მატარებელი შესაძლოა იყოს მხოლოდ ინდივიდუალური მეწარმე, ანუ ფიზიკური პირი, იურიდიული პირი სტატუსის მატარებელი ვერ გახდება. სტატუსი საშუალებას აძლევს მეწარმეს, რომ დაიბეგროს შეღავათიანი საშემოსავლო განაკვეთით.

საქართველოს საგადასახადო კოდექსის მე-12 თავი ეხება სპეციალური დაბეგვრის რეჟიმებს, კერძოდ:

- მიკრო ბიზნესის სტატუსის მქონე ფიზიკურ პირებს;
- მცირე ბიზნესის სტატუსის მქონე ფიზიკურ პირებს;
- ფიქსირებული გადასახადის გადამხდელის სტატუსის მქონე ფიზიკურ პირებს.

იმისათვის, რომ პირს მიენიჭოს ერთ-ერთი სტატუსი უნდა აკმაყოფილებდეს სსკ-ს 85, 89 ან 95 მუხლს, შესაბამისად.

გარდა კოდექსისა და ბეგვრის სპეციალურ რეჟიმებს არეგულირებს ინსტრუქციები, რომლებშიც დეტალურადაა განხილული დაბეგვრის თავისებურებები (ფ/მ N999), მეორე კანონქვემდებარე აქტი, რომელიც მნიშვნელოვანია არის მთავრობის დადგენილება N415 ამ აქტით განისაზღვრება ის საქმიანობები, რომლებზეც ვრცელდება აღნიშნული რეჟიმები.

ზოგადად მიკრო, მცირე და სპეციალური დაბეგვრა არის სტატუსები რომელიც სხვადასხვა ნიშნის მიხედვით ენიჭება გადამხდელს, რის დამადასტურებლადაც იღებს სერტიფიკატს.

მიკრო ბიზნესის სტატუსი ენიჭება ფიზიკურ პირს, რომლის შემოსავალიც ეკონომიკური საქმიანობიდან ერთი წლის განმავლობაში არ აღემატება 30,000 ლარს. ამასთან მნიშვნელოვანი პირობაა ის, რომ სტატუსის მფლობელი არ უნდა იყენებდეს დაქირავებულ პირთა შრომას. დაქირავებულ პირად კი არ ითვლება ოჯახის წევრი. სწორედ ამიტომ ეს სტატუსი უმეტესწილად ენიჭება საოჯახო ბიზნესს, რაც მრავლადაა და პოპულარულია ტურიზმის სექტორში.

შემოსავლის ზედა ზღვარის არსებობა თითქოს ზღუდავს კომპანიების განვითარებას, თუმცა კანონი განსაზღვრავს ისეთი საქმიანობების ჩამონათვალს, რომელზეც არ ვრცელდება ზემოთ აღნიშნული ზღვარი. ასეთ საქმიანობებს მიეკუთვნება სასოფლო-სამეურნეო სფეროსთან დაკავშირებული საქმიანობა, სხვადასხვა სახის წარმოება და მომსახურება. თუმცა მეორეს მხრივ ასევე არსებობს ისეთი საქმიანობები, რომელთა განხორციელების შემთხვევაშიც არ შეიძლება მიკრო ბიზნესის სტატუსის მინიჭება.

შემოსავლის სახეებს, რომელთაც არ ეხებათ სპეციალური დაბეგვრის რეჟიმი განსაზღვრავს საქართველოს პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტი, ხოლო მიკრო ბიზნესის სტატუსის მინიჭება და შესაბამისი სერტიფიკატის გაცემა ხდება ფინანსთა მინისტრის მიერ დადგენილი წესის მიხედვით.

საშემოსავლო გადასახადი ეკონომიკური არსით ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გადასახადია, ბოლო წლებში მისი წილი საგადასახადო შემოსავლების 30%-ს შეადგენს. ეს

არის ისეთი სტატუსი, რომელიც საშუალებას აძლევს ფიზიკურ პირს დაიბეგროს შეღავათიანი საშემოსავლო განაკვეთით.

მიკრო ბიზნესის სტატუსის მფლობელი ფიზიკური პირი განთავისუფლებულია საშემოსავლო გადასახადით დაბეგვრისაგან. თუმცა საგადასახადო ორგანო ახორციელებს მის კონტროლს, ისევე როგორც სხვა გადამხდელების კონტროლს. აღნიშნულ ბიზნესს არ აქვს უფლება დარეგისტრირდეს დღგ-ს გადამხდელად.

თუ მიკრო ბიზნესის სტატუსი შეიძლება მიენიჭოს არამეწარმე ფიზიკურ პირს, ამისგან განსხვავებით, მცირე ბიზნესის სტატუსი შეიძლება მიენიჭოს მხოლოდ იმ ფიზიკურ პირს, რომელიც მეწარმეა.

მცირე ბიზნესის სტატუსი ენიჭება ფიზიკურ პირს თუ მისი შემოსავალი უწყვეტი 1 წლის განმავლობაში არ აღემატებოდა 500,000 ლარს. მცირე ბიზნესის სტატუსი ნაკლებ შეზღუდვას უწესებს გადამხდელს და აძლევს უფრო მეტი თავისუფალი მოქმედების საშუალებას. საგადასახადო კოდექსის მიხედვით მცირე ბიზნესი იბეგრება საშემოსავლო გადასახადით, მისი განაკვეთი არის 1% ან 3%. მნიშვნელოვანი განსხვავება რაც მცირე და მიკრო ბიზნესს შორის გვხვდება არის დაბეგვრა დღგ-ს კუთხით. მცირე ბიზნესს შეუძლია გახდეს დღგ-ს გადამხდელი და შეინარჩუნოს სტატუსი.

საგადასახადო ორგანო ახორციელებს მცირე მეწარმეების კონტროლს, შესაბამისად ისინი ვალდებული არიან კოდექსით განსაზღვრული მოთხოვნები შეასრულონ, განმასხვავებელი რაც გამოარჩევს საწარმოებისაგან არის სპეციალური ჟურნალი, რომლის წარმოებაც ევალებათ.

რაც შეეხება ფიქსირებული გადასახადის გადამხდელს იგი შეიძლება იყოს პირი, რომელიც არ არის დღგ-ს გადამხდელი. ეს არის კატეგორია, რომელიც იხდის მხოლოდ ყოველთვიურ სავალდებულო შენატანს. გადასახადის განაკვეთი მთავრობის მიერ არის განსაზღვრული, იგი მერყეობს 1-დან 2,000 ლარამდე, ან წარმოადგენს შემოსავლის 3%-ს. ფიქსირებული გადასახადის გადამხდელი შესაძლოა იყოს როგორც ფიზიკური ასევე იურიდიული პირი.

საქართველოში 2017 წლიდან მნიშვნელოვანი საგადასახადო ცვლილებები განხორციელდა. ესტონური მოდელის დანერგვას მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების მიზნით, შეღავათიანი რეჟიმების კიდევ უფრო გამარტივება მოყვა.

რეფორმამდე მცირე ბიზნესის სტატუსი ენიჭებოდა ფიზიკურ პირს, რომლის შემოსავალიც არ აღემატებოდა 100,000 ლარს და იბეგრებოდა 5%-იანი საშემოსავლო გადასახადით. მონაცემების მიხედვით 2018 წელს დარეგისტრირებული იყო დაახლოებით 60,000 მეწარმე, რეფორმის შემდეგ კი მათი რაოდენობა გაორმაგდა.

საინტერესოა ის ფაქტი, რომ გადასახადების შემცირების მიუხედავად იზრდება საგადასახადო შემოსავლები, ეს კი ეკონომიკის ზრდასა და საგადასახადო ადმინისტრირებაზე მიგვითითებს. ასევე მნიშვნელოვან როლს ასრულებს ჩრდილოვან ეკონომიკის წილის შემცირება.

საგადასახადო ადმინისტრირების შედეგების გაუმჯობესებაში მნიშვნელოვანი როლი ითამაშა ესტონური მოდელის დანერგვამ და საწარმოების რეინვესტირების ხელშეწყობამ. ესტონეთი და საქართველო სიდიდითა და ეკონომიკური მდგომარეობით დაახლოებული ქვეყნებია, რაც ამ მოდელის წარმატებას უზრუნველყოფს.

გატარებული რეფორმების მიუხედავად კიდევ ბევრი რეფორმაა საჭირო მცირე და საშუალო ბიზნესის სექტორის განვითარებისათვის. ძირითადი შეღავათი რაც მცირე და საშუალო საწარმოებს ეხება, არის საგადასახადო ადმინისტრირების გამარტივება, შიდა აღრიცხვის წესების შემსუბუქება, რაც ამ სექტორს საშუალებას აძლევს იმოქმედოს ნაკლები წნეხის ქვეშ.

მცირე და საშუალო ბიზნესის დაბეგვრის კუთხით განხორციელებული რეფორმები დადებითად მოქმედებს ბიუჯეტის როგორც შემოსავლებზე ასევე ხარჯებზე. შემოსავლების კუთხით იგი ქმნის ახალ დასაბეგრს ბაზას, რაც საბიუჯეტო შემოსავლებს ზრდის. ხარჯების შემცირებას კი განაპირობებს ამ სექტორში დასაქმების ზრდა, რაც ზრდის მოსახლეობის შემოსავლებს და ამცირებს სოციალური დახმარების რაოდენობას სახელმწიფოს მხრიდან.

2018 წლის რეფორმების შემდეგ, როდესაც მცირე ბიზნესის საშემოსავლო გადასახადის განაკვეთი 5ჯერ შემცირდა, სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით ბრუნვის მოცულობა დაახლოებით 18%-ით გაიზარდა.

დღესდღეობით საქართველოსთვის მცირე და საშუალო ბიზნესი განიხილება, როგორც ეკონომიკური კრიზისის დაძლევის, ეკონომიკური ზრდისა და სოციალური პრობლემების მოგვარების საშუალება. ამიტომ ძალიან მნიშვნელოვანია რომ მისი შეფერხება არ ხდებოდეს ისეთი მოვლენებით როგორცაა, სამეწარმეო განათლების ნაკლებობა, შეზღუდვები ფინანსებზე, ტექნოლოგიური ჩამორჩენა და მსოფლიო ბაზრებზე წვდომა. ამ ყველაფერის გაუმჯობესება კი შესაძლებელია საგადასახადო სისტემის სრულყოფის გზით.

გაუგებარია როგორი სტილის განვითარებას ემხრობა სახელმწიფო ლიბერალურს თუ კონსერვატორულს. ერთი მხრივ კეთდება განცხადება რომ ბიზნეს ვათავისუფლებთ წნეხისგან, ზედმეტი რეგულაციისგან და მეორე მხრივ შემოგვაქვს დამატებითი გადასახადი საპენსიო რეფორმის სახით და ვამბობთ რომ იგი გადასახადი არ არის, მაგრამ ბიზნესს დამატებით ორი პროცენტით ვუძვირებთ წარმოების პროცესს.

დასკვნა

გადასახადები მნიშვნელოვან როლს ასრულებს საბაზრო ურთიერთობების ჩამოყალიბებაში, მითუფრო გარდამავალი ეკონომიკის პირობებში, ამიტომ, გამართულად ფუნქციონირებადი საგადასახადო სისტემა მნიშვნელოვანია საქართველოსთვის. ვინაიდან

წარმატებული საგადასახადო პოლიტიკის გარეშე წარმოდგენელია სახელმწიფოს ფუნქციონირების ეფექტიანობა.

მცირე და საშუალო საწარმოები (მსს) მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ეკონომიკის განვითარების ზრდის ტემპების უზრუნველყოფაში. მათი განვითარება განსაკუთრებით უწყობს ხელს ისეთ ეკონომიკურ ფაქტორებს როგორცაა უმუშევრობის შემცირება და სამუშაო ადგილების შექმნა, შემოსავლების დაგენერირება და ბიზნეს სექტორის გაზრდა. მსს თავისი ბუნებით ნებისმიერი ქვეყნის განვითარების მნიშვნელოვან ელემენტად არის მიჩნეული.

აქედან გამომდინარე განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს მცირე და საშუალო საწარმოების დაბეგვრის საკითხი. აღნიშნული მიმართულებით განხორციელებული რეფორმები დადებითად მოქმედებს ბიუჯეტის, როგორც შემოსავლების ზრდის ასევე ხარჯების რაციონალურად გამოყენებაზე. შემოსავლების მიხედვით იგი ქმნის ახალ დასაბეგრს ბაზას, რაც საბიუჯეტო შემოსავლებს ზრდის, ხარჯების შემცირებას კი განაპირობებს ამ სექტორში დასაქმების ზრდა, რაც ზრდის მოსახლეობის შემოსავლებს და ამცირებს სოციალური დახმარების რაოდენობას სახელმწიფოს მხრიდან.

ჩემს მიერ ჩატარებული კვლევის პირობებში სტატისტიკური მონაცემების ანალიზის დროს გამოიკვეთა მნიშვნელოვანი პრობლემა, რომელის მიზეზიც მცირე და საშუალო საწარმოების განმარტებების განსხვავებაში მდგომარეობს. საგადასახადო კოდექსისა და საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის კლასიფიკაციებს შორის არსებითი განსხვავების გამო რთულია შევადაროთ მსს სექტორის გავლენა ეკონომიკაზე.

სახელმწიფო აქტიურად წარმართავს მცირე და საშუალო საწარმოების განვითარების პოლიტიკას, ამასთან უნდა აღინიშნოს, რომ ხშირი ცვლილებები საგადასახადო კანონმდებლობაში ცალკეულ შემთხვევაში დადებითთან ერთად უარყოფითადაც მოქმედებს ბიზნესის გაფართოებაზე. სექტორის განვითარებაზე მნიშვნელოვანი გავლენა იქონია მთავრობის მიერ მიღებულმა გადაწყვეტილებამ - „საქართველოს მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების სტრატეგია 2016-2020 წლებისთვის“. სადაც ამ

სექტორის განვითარებას ერთ-ერთი პრიორიტეტული როლი აქვს მინიჭებული ჩვენი ქვეყნისათვის.

როგორც კვლევის მასალებიდან ჩანს სახელმწიფომ მეტი ყურადღება უნდა დაუთმოს გატარებული ღონისძიებების შედეგების ანალიზს, რათა ყოველი მომდევნო ნაბიჯი გადადგას გააზრებულად და უფრო მეტად განავითაროს აღნიშნული სექტორი. ეკონომიკური მაჩვენებლების შედარებისას მნიშვნელოვანია, სტატისტიკური მონაცემების სრულყოფილად გაანალიზება, თუმცა ხშირ შემთხვევაში ვერ კეთდება, ვინაიდან სტატისტიკური მონაცემები და საგადასახადო ორგანოების მაჩვენებლები ურთიერთ შეუსაბამოა.

არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ ბოლო წლებში, საქართველომ ბევრი და მნიშვნელოვანი რეფორმა განახორციელა იმისათვის, რომ გაუმჯობესებულიყო საინვესტიციო გარემო, შემცირებულიყო საგადასახადო ტვირთი, ასევე ადმინისტრაციული ბარიერები და მოგვარებულიყო ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრობლემა ჩრდილოვანი ეკონომიკის და კორუფცია იყო. მიუხედავად გატარებული რეფორმებისა, საქართველო ეკონომიკური ზრდის საკითხი კვლავ დილემის წინაშე დგას.

ასევე, საგადასახადო კოდექსში შეტანილი ცვლილებები ამარტივებს გადასახადის განაკვეთებს და ლიბერალურს ხდის მათ გადამხდელებისათვის. თუმცა ჯერ კიდევ დასახვეწია ადმინისტრირების ნაწილი, რადგან იგი რთულად გასაგებია მეწარმეთათვის და უმეტესობას კოდექსის წაკითხვაც კი უჭირს. აქედან გამომდინარე ხშირია შემთხვევები, როდესაც გადამხდელი უნებლიედ და არა გამიზნულად ახორციელებს ოპერაციების არასწორად დაბეგვრას.

ის გარემოება, რომ საზღვარგარეთის ქვეყნებში, მცირე და საშუალო ბიზნესის სექტორის განვითარება უფრო სწრაფი ტემპებით მიმდინარეობს, ვიდრე საქართველოში, განპირობებულია იმ ფაქტით, რომ მათ უფრო მეტად აქვთ გაცნობიერებული ამ სექტორის მნიშვნელობა ეკონომიკისათვის.

განხილული საკითხებიდან გამომდინარე შემიძლია ვთქვა, რომ არასრულყოფილი საგადასახადო სისტემის არსებობა შესაძლოა დააბალანსოს სტაბილურმა საგადასახადო სისტემამ. საგადასახადო კანონმდებლობის ხშირი ცვლა კი აფერხებს და არასტაბილურს ქმნის მთელს საგადასახადო მექანიზმს, ეჭვს არ იწვევს ის, რომ ეროვნული ეკონომიკის განვითარების საფუძველს მისი სტაბილურობა და სიახლეების დანერგვის გამოცდილება წარმოადგენს. აუცილებელია, რომ მოქალაქეებისა და მითუფრო მეწარმეების განვითარების დონე შესაბამისობაში მოდიოდეს საკანონმდებლო ცვლილებებთან.

გამოყენებული ლიტერატურის სია

1. ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი, ევროპის განათლების ფონდი, ევროკავშირი, ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია, „მსს პოლიტიკის ინდექსი: აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნები“ 2020.
2. მიკრო და მცირე ბიზნესის სახელმძღვანელო: ფინანსურ ორგანიზაციებთან ურთიერთობა და ფინანსური გადაწყვეტილებების მიღება. 2018.
3. საბაური, ლ. კვატაშიძე, ნ. სრესელი, ნ. (2017) „ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის სრულყოფის გზები მცირე და საშუალო ბიზნესის საწარმოებში“. თბილისი.
4. საქართველოს პარლამენტი, საქართველოს საგადასახადო კოდექსი
5. საქართველოს პარლამენტი, საქართველოს სამეწარმეო კოდექსი
6. საქართველოს მთავრობა, „ქვეყნის ძირითადი მონაცემები და მიმართულებები 2020-2023 წლებისათვის“.
7. საქართველოს მთავრობა, „საქართველოს მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების სტრატეგია 2016-2020 წლებისთვის“
8. საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანება, №999 “საშემოსავლო გადასახადის სპეციალური დაბეგვრის რეჟიმების გამოყენების შესახებ”, 2010 წლის 31 დეკემბერი, ქ. თბილისი
9. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, „ბიზნესს სექტორი საქართველოში 2019“
10. საქართველოს ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაცია, პროექტი: „მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების ხელშეწყობა“; 2009.
11. www.mof.ge
12. www.treasury.ge
13. www.parliament.ge
14. www.budgetmonitor.ge
15. www.saras.gov.ge
16. www.enterprise.gov.ge

17. <https://www.heritage.org/index/ranking>
18. <http://documents.worldbank.org/curated/en/688761571934946384/pdf/Doing-Business-2020-Comparing-Business-Regulation-in-190-Economies.pdf>
19. http://www3.weforum.org/docs/WEF_TheGlobalCompetitivenessReport2019.pdf
20. GeoStat - Statistics Database

დანართი



Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Tamar Tabagari

**Ways about, how to improve small and medium business taxation system in
Georgia**

Master's Program: Business Administration

Thesis is prepared to obtain the academic degree of Master of Business
Administration

Supervisor: Associate Professor

Mikheil Chikviladze

Tbilisi

2020